645
1964/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიტერატურული საქართველო

აგვისტო
№ 8 1964 წ.

ანთია ზეჯიკაძის ჯიხრები

სულიკო კოსტავა

9365

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ქვეყანა ლაპარაკობს მახარაძელ და ქობულეთელ მეჩაიეთა თაოსნობაზე — შეასრულონ ჩაის კრეფის შვიდწლიანი გეგმა ექვს წელიწადში.

შესანიშნავია! ჩვენ ასეთი თაოსნობების უამრავი ფაქტის მოწმენი ვართ. ჩვენს დროში აქ გასაკვირი არაფერია. მაგრამ თუ მოვისურვებთ კონკრეტულად დავადოთ ხელი, ვინ იკისრა პირველად ეს ვალდებულება, გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამ ასაზრდოვა იგი, როგორ დაიბადა, როგორ გადაედო სხვებს, აზვირთდა და წამოვიდა.

გასული წელი რესპუბლიკის მეჩაიეების გამარჯვების წელი იყო. მათ მოკრიფეს 186.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს გეგმას.

ეს შრომითი გამარჯვება მათ მხურვალედ მიულოცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ამ მოლოცვამ უფრო აღაფრთოვანა მშრომელები. ამიტომ იყო, რომ მათი სახელით საქართველოს კპ XXII ყრილობამ პირობა მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ საქართველოს მეჩაიეები 1965 წლისათვის ქვეყანას მისცემენ 200.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ეს დაპირება მეჩაიეებმა საკუთარ ნათქვამად ჩათვალეს. გავიდა ცოტა ხანი და ახლის თქმა დააპირეს. რატომ არ შეიძლება, რომ ერთი წლით ადრე, წელს მივცეთ სახელმწიფოს 200.000 ტონა ჩაი?

მაგრამ ჯერ ეს ვალდებულება არ ჰქონდათ აღებული, რომ დაიწყეს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხლვა, ფუმიგაცია, კულტივაცია. მინდვრებში გამოჩნდნენ მანქანები და ეს სამუშაოები მანქანებმაც იკისრეს.

და აი, აინთო თაოსნობის პირველი ნაპერწკალი — გურიის ერთერთ სოფელში, ერთერთმა ბრიგადირმა თავის ბრიგადის წევრებს უთხრა: მოდით, მოვკრიფოთ წელს უფრო მეტი ჩაის ფოთოლი! ახლა მეორე სოფელშიც გაირბინა ამ ხმამ, მერე მესამე სოფლის მეჩაიეებმაც ბანი მისცეს და დაიბადა მახარაძელთა თაოსნობა — წელსვე შეასრულონ ჩაის კრეფის შვიდწლიანი გეგმა. მახარაძელთა კვალდაკვალ ქობულეთელებმაც აიღეს ეს ვალდებულება.

ეს იყო დიდი გამბედაობა. ქობულეთელ და მახარაძელ გმირებს მიმდევრები გაუჩნდნენ ზუგდიდში, ცხაკაიაში, გეგეჭკორში, წულუკიძეში, — ყველგან, სადაც ჩაის ბუჩქებია და ადამიანები კვლებში დგანან, სადაც კარგად იციან, რომ ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესოა მსოფლიოში, იციან, რომ ბევრ სხვა ქვეყანას, შესაძლოა უკეთესი კლიმატური პირობები ჰქონდეს ჩაის მოსაყვანად, მაგრამ ქართული ჩაის მაღალ ხარისხს მწათმოქმედების კულტურა განაპირობებს.

მადონა კოსტავა

ცაგარა კოსტავა

ოთაია, გიორგი ყურუა, სერგო ლოლუა და სხვები.

ადამიანები მანქანებს გაეჯიბრნენ, თავზე ქუდები მოირგეს, კალათები მოიყვანეს წესრიგში და მაისში კრეფა დაიწყეს.

ჩაის კრეფას წვიმიანი გაზაფხული დახვდა.

წვიმის გადაღების ლოდინი არ შეიძლებოდა. ბოლოსდაბოლოს, განა ყოველთვის დაგასველებს წვიმა პლანტაციაში? დაგასველებს მაშინ, როცა ფოთოლი იკრიფება. ეს კი წელიწადში მხოლოდ ერთ სეზონზეა, როცა ჰაერი ისეა გამთბარი, რომ წვიმა ვერაფერს დაგაკლებს. მკრეფავები თავიანთი ხელით აკრავდნენ ლოზუნგებს: „აკრიფოთ განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში!“ მაისში ისინი ძალიან ხშირად ბრუნდებოდნენ შინ დასველებულები, მაგრამ ჯანმრთელად გრძნობდნენ თავს და ყველაფერი ავიწყდებოდათ, როცა შვილები სადილს ახვედრებდნენ. დედების შრომითი აქტივობა შვილებს გადაედოთ — არდადეგების დღეებში ისინიც მოედვნენ ბუჩქებს და ერთმანეთს გაეჯიბრნენ. ახლა მოსწავლეებმა გააკრეს ფარდულებთან ლოზუნგები: „ყველანი, ვისაც კრეფა შეუძლია, ჩაის პლანტაციებში!“ სხვანაირად არ შეიძლება ერთი წლით გაუსწრო დროს — ეს კარგად იციან ბავშვებმაც.

სოფლებში დიდი ამბავია. ქალებს არ სცალიათ შესასვენებლად ჩეროში ჩამოსხდნენ. მათ ენანებათ წუთის დაკარგვა. შრომაში შეუმჩნევლად გადის დრო. მკრეფავები ახლა გრძნობენ, რომ დრო ასეთი ძვირფასი არასოდეს ყოფილა. მათ აგიტატორები კვლებში აგებინებენ, სად რამდენი გმირი დაიბადა, რომელ საწარმოო სამმართველოში იყო სარეკორდო მაჩვენებლები.

ადამიანებს ძალიან დიდი მეტოქე ჰყავთ ჩაის საკრეფი მანქანის სახით. ადამიანს არ უნდა ხელი შეუშვას ბუჩქებს. ჯერ სანამ 200 მანქანაა რესპუბლიკაში, ჩაის კრეფის ბედს ადამიანის ხელები წყვეტენ. და ჯერ კიდევ ამაყობენ მკრეფავები მით, რომ ეს ბედი მათ აბარიათ. ქალებს ერთმანეთთან სალაპარაკო დრო არა აქვთ. მათ, ალბათ, იმის დროც არა აქვთ, ერთი ორი სიტყვა უთხრან მათთან ჩასულ კორესპონდენტს და სურათი გადაიღონ. მაინც აჭრელდა გაზეთები მათი სურათებით. გაზეთით ბევრმა გაიცნო სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიე თ. ჭკადუა, ნოჯიხევის კოლმეურნეობის წევრი კ. სიხარულიძე, ჭკადუაშის კოლმეურნეობის წევრი ც. გულორდავა, რომლებიც 30 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად 60-90 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ. ასეთები კი ბევრია — ლეხაინდრაელი ლაიზა ბართაია თუ ჭანჭათელი თინა ცინცაძე, კონჭკათელი კომკავშირელები ლამარა, ცირა, მადონა კოსტავები, თუ მაგული რუსეიშვილი, ნათელა ბუიღლიშვილი, ცაგო ჩხაიძე.

მარტო გვარები რას გვეტყვიან, თუ წარმოდგენა არა გვაქვს, რა ძნელია მეჩაიის შრომა. მზისგულზე, წვიმაში, ყოველგვარ ამინდში დღითიდღე იზრდება კრეფის ტემპი და თუ ჩამორჩი ამ ტემპს, ველარ დაეწევი. რამდენს ნიშნავს ამ დროს, როცა არაფრის დარდი არა გაქვს, როცა ბავშვი ბაგაში დასტოვე და საღამოს მოვლილს შინ წაიყვან.

რა კარგი საქმე კეთდება იმ კოლმეურნეობებში, სადაც მეჩაიეებისთვის ცხელი კერძები დააქვთ.

ეს ცხელი კერძები რომ ყველა კოლმეურნეობის პლანტაციებში დაჰქონდეთ, ხომ უფრო მეტად იგრძნობენ ჩვენი დღის გმირები დაფასებას!

მივხედოთ ამ საქმეს, თუ მეჩაიე არა ვართ, მათი გულშემატკივრები ხომ ვართ, ვინც პლანტაციაშია.

მათი გმირობა კი რესპუბლიკის სახელია.

მაგული რუსეიშვილი, ნათელა ბუიღლიშვილი და ცაგო ჩხაიძე.

მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოც“ ამ გმირებს შეუერთდა. თუ გასულ წელს რესპუბლიკაში 100 ჩაის საკრეფი მანქანა იყო, წელს 200 საკრეფი მანქანა ჩადგა პლანტაციებში. ადამიანებმა ამ მანქანების იმედი დაიჭირეს. მათ იცოდნენ, რომ შვიდწლედის მეხუთე წელი ინგირის ჩაის საცდელმა საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკამ სასახელოდ დაამთავრა, 1.900 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2.502 ტონა „მწვანე ოქრო“, აქედან 1.047 ტონა მანქანის წილად მოდის. წელს მარტო ინგირის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკაში 400-ზე მეტ ჰექტარზე ფოთოლს მანქანა „საქართველო“ მოჰკრეფს. ამ მანქანებს მისხდომიან მექანიზატორები — ლოლა არღვლიანი, კლარა დავი-

ᲛᲔᲠᲘᲒᲘ

ზაფხულის პაპანაქება ჩამომდგარა ალაზნის ველზე. კავკასიონს კი შავი ღრუბლები მოსჯარებია, ტყვიითა და დენთით გატენილი.

მდინარის პირას სამხედრო ბანაკი დგას. ბორცვებზე რადიო-ლოკატორებია. ისინი ფხიზლად დაეძებენ მტრის მესერშმიტებს, რომლებიც ყოველწუთს შეიძლება გადმოვევლონ კავკასიონს.

სათვალთვალო პუნქტზე მორიგე მოვიდა.

— აჰ, გრუნია, მოხვედი?

— ვიცი, უძილო იქნები, წადი, დაიძინე.

— გმადლობთ, გმადლობთ...

— ეტყობა სადღაც თქვენი მიმართულებით ფრენს...

— კი, მაგრამ...

— არა. ოდნავი რხევაა, მთებზე თუა...

გრუნია ჩასცქეროდა ხელსაწყოებს, რომლებიც გრძნობდნენ სივრცეს, ნიავის ოდნავ მოძრაობას, სუნთქვასაც კი.

— ალო, ალო, თვითმფრინავი, — გაისმა საველე ტელეფონში ქალის მღელვარე ხმა. სიბრაზისა და მოუთმენლობისაგან ქალს სიტყვები ყელში ეჩხირებოდა. მან იმავე წუთს ყველაფერი გამოითვალა. N საზენიტო ბატარეამ მყისვე აღმართა ფოლადის ყელი. მტრის თვითმფრინავი განადგურებულ იქნა. გრუნია თითქოს თვითონ იჯდა საზენიტო ქვემეხთან, თითებს იმტვრევდა... გულს მოეშვა. რადიო-ლოკატორის იმპულსის მოციმციმე სხივებიც დამშვიდნენ.

ერთი წელიც არ იყო, რაც არმიაში მოხალისედ მოვიდა გრუნია, მაგრამ უკვე შეესისხლხორცა მებრძოლთა ცხოვრებას. სულ მალე გრუნია ნავროზაშვილი, საავიაციო ნაწილის რიგითი ჯარისკაცი, კახეთიდან ბაქოში, მერე ნალჩიკში გადაიყვანეს. მიდიოდნენ დღეები. მიიწევდნენ ჩვენი მეომრები წინ და გრუნიაც ერთი ასთაგანი, ერთი მილიონთაგანი გაბედულად მიჰყვებოდა მათ.

ომის დამთავრებამდე დაბრუნდა გრუნია საქართველოში. ასეთი იყო ბრძანება. კვლავ სამხედრო ნაწილში განაგრძობდა მუშაობას. წარუმლელია ხსოვნიდან ეს დღეები. ომი ყველასათვის მკაცრი სკოლა და გამოცდა იყო. მომხიბვლელ ქალიშვილსაც, როგორც ბევრ სხვას, ომმა მძიმე ჭრილობა დაუტოვა გულში—ფრონტზე დაჰკარგა საყვარელი ძმაც და მეუღლეც. გასაჭირს უმსუბუქებდა პატარა ნელი, რომელიც თანდათან იდგამდა ენას.

* * *

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მე-5 სამგზავრო-სავაგონო დეპო, ხმაურიანი, სიცოცხლითა და შრომით სავსეა. სხვანაირად ან კი როგორ უნდა იყოს! აქედან ხომ ყოველდღე ათობით შემადგენლობა გადის სხვადასხვა მიმართულებით, თითოეულ შემადგენლობას მომსახურე პერსონალი ჰყავს, რომლებიც დეპოს კოლექტივის წევრები არიან. მოდიან ისინი, ამოწმებენ ვაგონების მზადყოფნას, ხანაც პარტიული კრებაა, საწარმოო თათბირია, ისე რომ, დეპოში ყოველთვის ხალხმრავლობა, საუბარი, მიმოსვლა, ხმაურია. საგამწესრიგებლოში კი სიწყნარეა. გამწესრიგებელი აკვირდება გრაფიკს, იცის, ვინ უნდა წავიდეს ამ დღეს ხაზზე. მაგრამ ხომ შეიძლება ბრიგადირი ან გამცილებელი ცუდად გახდეს, ვერ მოვიდეს, დაავადიანოს? მაშინ მორიგე გამწესრიგებელი სათადარიგო ხალხს იძახებს და აკომპლექტებს გამყოლთა შემადგენლობას. აქ ფხიზელი თვალია საჭირო. არ შეიძლება მატარებელს გაჰყვეს მომსახურე კაცი, რომელიც სამუშაოდ არ არის განწყობილი. რკინიგზაზე, ადამიანების სიცოცხლესთან თამაში არ შეიძლება.

ეს რომ ასეა, კარგად იცის გრუნია ნავროზაშვილმა და „მკაცრი“ გამწესრიგებლის სახელიცა აქვს დეპოში. ვერც გავამტყუნებთ. ამას წინათ მორიგეობის დროს მატარებელი „თბილისი-ფოთის“ გამცილებელი ო. სადაღაშვილი ნასვამი გამოცხადდა. ნავროზაშვილმა აუკრძალა მას მატარებლის გაყოლა. ასევე მოექცა „თბილისი-მახარაძის“ გამცილებელს პ. ხალიაპინს. ორივემ სათანადო სასჯელი მიიღო...

გრუნია ნავროზაშვილი 23 წელია დეპოშია. ადამიანებმა ახლო გაიცნეს იგი, ყველა კმაყოფილია მისი შრომისმოყვარეობით და პრინციპულობით.

დაჭრილი გული შეხორცდა. გრუხიაძ იაკოვა მეგობარი—თავისი ცხოვრება დაუკავშირა დეპოს მოწინავე ბრიგადირს ჯანსუღ მოსიაშვილს. ჯანსუღის გამცილებელთა ბრიგადამ, რომელიც „თბილისი-სოჭის“ ხაზს ემსახურება, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის საპატიო სახელი. ცოლიც და ქმარიც ხელიხელჩაკიდებული მიყვებიან შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებას.

ბ. ჭიმერიძე

ვახტანგ ბარათაშვილი

№ 26 სახლის საიდუმლოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ა. გოლიახოვსკაია

კალიფორნიის ერთი პატარა, შეუმჩნეველი ქალაქი გახლდათ მერისვილი. მერისვილში ყველა ერთმანეთს იცნობდა, ყველამ ერთმანეთის ასავალ-დასავალი იცოდა. თითქოს მინის საფარქვეშ, სააშკარაოზე მიმდინარეობდა ცხოვრება და რა საიდუმლო შემთხვევა უნდა ყოფილიყო, რომ ბიბლიისა და სისხლის სამართლის კოდექსის მკაცრი დაცვის შედეგად ბოლოს მაინც არ გამოფღავნებულიყო.

ამიტომაც, მერისვილში არაფერი არ ხდებოდა და პოლისმენი მაიკლი, რომელიც ცენტრალურ მოედანზე იდგა, მოწყენილობისა და უსაქმურობისაგან კვდებოდა. უკანასკნელი ღირსშესანიშნავი ამბავი ყვავილის ეპიდემია გახლდათ, ეპიდემიამ 50 წლის წინ იფეთქა ამ მხარეში და აქაურ მკვიდრთა — კალიფორნიელ ინდიელთა სიცოცხლე წაიღო. შემდეგ მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მერისვილში სრული სიმშვიდე სუფევდა, ვიდრე ქვრივმა მარგარეტ სტივენსმა ერთ კვირადღეს ქვრივ გვენდოლენ უინჩრთან არ მიირბინა, რომ უცნაური ამბავი, რომელიც მათ შვილებს შეეხებოდა, ეცნობებინა.

— ყური მიგდე გვენდოლენ, — დაიწყო ქვრივმა სტივენსმა, რომელიც ის-ის იყო თვალებგადმოკარკლული შემოვარდა სამზარეულოში. — № 26 სახლში ბებერ ჯოუნზის გარდა ცხოვრობს კიდევ ვინმე?

გვენდოლენ უინჩი გაზის სანოურას წშენდდა და თავიც კი არ მოუბრუნებია, ისე უპასუხა:

— მეტი ვინ უნდა ცხოვრობდეს? ასი წელი იქნება რაც ჯოუნზი მარტო ცხოვრობს, -- მერე წელში გასწორდა და მარგარეტს მიაჩერდა. მარგარეტს შეშინებული, დაბნეული სახე ჰქონდა. რაღაცა ავი იგნოსა გვენდოლენმა და ჩურჩულით ჰკითხა:

— რა მოხდა?

— სადაა შენი ტომი? — ჩურჩულითვე შეუბრუნა კითხვა მარგარეტმა.

— ტომი შენ ენდისთან ერთად ცეკვებზე წავიდა. რა, დაბრუნდა უკვე ენდი?

— არა. ყური მიგდე ერთი, რა ხდება, გვენ!— აღელვებით განაგრძო მარგარეტმა და სახე სახესთან მიუტანა. — გუშინ ჩემი ენდი ცეკვებზე წავიდა. ველოდებოდი, რაღაც არ მეძინებოდა. მოდი, ვიფიქრე, ქუჩაში გავალ მეთქი. აი, ეს შალი მოვიხურე. გამოვედი და რას ვხედავ — შენი ტომი ბებერ ჯოუნზის სახლისაკენ არ მიიპარება ჩუმჩუმად! ჭიშკარში შევიდა, ფანჯარაზე ნელა დააკაკუნა. ადგილზე გავშეშდი. დავინახე როგორ გაიღო კარი და შენი ტომი შიგნით შევიდა, კარი კი მოიხურა...

— ჩემი ტომი, ჩემი შვილიკო, — ჩაიდუდუნა გვენდოლენ უინჩმა.

— დიახ, შენი შვილიკო, — მოუთმენლად შეაწყვეტინა ქვრივმა სტივენსმა, — ჰოდა, ვდგევარ და ვფიქრობ: ხომ არ შემეშალა, იქ რა უნდა გააკეთოს მეთქი. გუშინ არაფერი არ გითხარი. გადაწყვიტე დღეს მეყარაულა, ეს ეს არის დავინახე; ბებერ ჯოუნზთან უკვე ორნი მივიდნენ: შენი ტომი და ჩემი ენდი, წარმოგიდგენია!

— ღმერთო! — წამოიძახა გვენდოლენმა და შეშინებული სახით მიმოიხედა. -- ეს რა ამბავია? რას უნდა აკეთებდნენ იქ ღამით? — შუბლი ფიქრიანად შეიჭმუხნა. — მართლა, გათენებისას მოვიდა გუშინ ტომი.

— რა ვქნათ ახლა? — ჩაილაპარაკა მარგარეტმა.

უინჩის ქვრივი ჩაფიქრდა და მტკიცედ თქვა:

— ვუყარაულოთ, პოლისმენი მაიკლი გავაფრთხილოთ. ხვალ, როგორც კი შიგნით შევლენ, ფეხდაფეხ მიჰყვეს.

— დღეს რაღა ვქნათ? — საკოდავად დაიკვნესა მარგარეტმა.

— დღეს უკვე გვიანაა, — განსაჯა გვენდოლენმა, — რამდენი ხანია აქ ვლაპარაკობთ. იქნებ უკვე წავიდნენ კიდეც. პოლისმენ მაიკლსაც ალბათ დიდი ხანია ძინავს.

— ეგეც სწორია, — ამოიოხრა მარგარეტმა, — მხოლოდ, იცოდე, ბიჭებს არაფერი უთხრა.

— რას ამბობ, რას! — ხელები გაასავსავა გვენდოლენმა. — რომ ვუთხრათ, ყაშინ ხომ ვეღარაფერს გავიგებთ.

— აბა, წავედი, — აჩქარდა მარგარეტი. — ბიჭები არ დაბრუნდნენ.

მეორე საღამოს, როგორც კი ენდი და ტომი ცეკვებზე წავიდნენ, მარგარეტ სტივენსის ფანჯარასთან, საიდანაც ბებერ ჯოუნზის სახლი კარგად მოჩანდა, ორივე ქვრივი და მათ მიერ გაფრთხილებული მაიკლი შეგროვდნენ.

მართლაც, ყოველივე ეს უცნაურად გამოიყურებოდა. მაიკლი კარგად იცნობდა ამ ბიჭებს — ისინი სამერის კანცელარიაში მუშაობდნენ, ხანდახან მერის დავალებით საკრამენტოში დადიოდნენ, ჩვეულებრივ კი ქალაქში იყვნენ და არაფრით არ განსხვავდებოდნენ მერისვილის სხვა მცხოვრებთაგან. რა უნდოდათ იმ გამოჩერჩეტებულ ბებერთან, რომლის ასაკიც არავინ იცოდა: ისეთი მოხუცებული იყო, თითქოს მარადიულად ცხოვრობდა ქვეყნად. მერისვილში იცოდნენ, რომ მოხუცი სრულიად მარტო ცხოვრობდა კატასთან ერთად, რომელიც თავისი პატროხივით ბებერი და ბაიყუში იყო, საჭმელს ქვაბებიდან ჭამდა და მაგიდაზე მდგარ საპურეში ეძინა.

რა ესაქმებოდა ორ ახალგაზრდა, ოც-ოცი წლის ბიჭებს ბებერ ჯოუნზთან, თანაც ღამით და ფარულად?...

— ოღონდაც გამოგვივიდეს რამე! — წაიჩურჩულა გვენდოლენმა.

პოლისმენმა კმაყოფილებით მოისრისა ხელები.

— ჩავავლებთ კრავებს. როგორც კი სახლში შევლენ, ფეხდაფეხ მივყვები. სახლს მეორე გასასვლელი არა აქვს.

ძალიან დიდხანს ელოდნენ. უკვე მთლად დაბნელდა, ქუჩებში ფარნები აინთო. პოლისმენი სკამის ზურგს მიეყრდნო და ჩასთვლიმა. მგონი ესიზმრებოდა კიდეც რაღაც, რომ შეშფოთებულმა მარგარეტ სტივენსმა მუჯლუგუნი წაჰკრა:

— შევიდნენ, შევიდნენ!

გვენდოლენ უინჩი კი ციებიანივით ბუტბუტებდა:

-- ჩქარა, ჩქარა!

მაიკლი შეკრთა, თვალი დააჭყიტა და ფანჯრის მინას მიეკრა, დაინახა 26 ნომერში როგორ მიიხურა ფრთხილად კარი.

-- რა მომენტი გამომეპარა! — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა. —შევიდნენ?

ქვრივებმა ენერგიულად დააქნიეს თავი.

მაიკლმა ადგილზე დარჩენის ნიშანი მისცა. ქუდი გაისწორა. მუნდირი ჩამოიქაჩა და მოხუც ჯოუნზის სახლისაკენ გაემართა. ქუჩა გადაჭრა. მივიდა და კარზე სამჯერ მაგრად და გარკვევით დააკაკუნა. კარს იქით ფეხის ფრატუნი და ჯოუნზის ჭრიალა ხმა მოისმა:

-- ვინაა, ამ შუაღამით რომ დაეხეტება?

— კანონის ძალით გიბრძანებთ, გააღეთ!

— რა? — იკითხა მოხუცმა. კარი გააღო და მაიკლი თავითფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. — შენ რა, გაგიჟდი?

მაიკლმა შეხედა მის მოძიგძიგე თავს, ჭაღარა, გაპუწულ თმას, გაქონილ ხალათს და გაუბედავად უთხრა:

— კანონის ძალით... ამ... თქვენი სახლი უნდა დავათვალიერო.

— რაში დაგჭირდა ჩემი სახლი? — იჭვით ჰკითხა მოხუცმა.

— მე მაქვს ცნობები, — დაიწყო მაიკლმა და ძებნის ხასიათი წაუსდა, — რომ თქვენ სახლში ორი ახალგაზრდა — ენდიუს სტივენსი და ტომას უინჩი შემოვიდნენ.

— ცნობები? — გააგრძელა მოხუცმა და მაიკლს დაკვირვებით ჩააცქერდა, თითქოს ცდილობს გაიგოს რაშია საქმეო. — შემოდი მაშინ, ნახე. ფეხი დაიწმინდე, — დაუმატა მკაცრად და გვერდზე მიდგა, რომ შიგ შეეშვა.

პოლისმენმა გაიწმინდა ფეხი ძველ ტომარაზე, რომელიც ფარდაგის მოვალეობას ასრულებდა და მოხუცს უკან ეიჰყვა. სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა, ნაბიჯების ხმა ყრუდ გაისმოდა ცარიელ ოთახებში. პირველი ოთახი მთლად ცარიელი აღმოჩნდა, მეორეში ჩვრებგადაფარებული რკინის საწოლი, ორი გატეხილი სკამი და ფეხებმოღრეცილი მაგიდა იდგა. მაგიდაზე, საპურეში, გაჭუცული კატა თვლემდა. ფეხის ხმაზე კატამ თვალი გააღო და მაიკლს შეაშტერდა. ფანჯრები გულდაგულ ჩაკეტ-ჩაერაზათ, ხოლო კედლებს ბზარის ნატამალიც კი არსად ემჩნეოდა. მაიკლი მიხვდა: აქ მოსვლა წმინდა წყლის სისულელე იყო.

— რა ქენი, ნახე რამე? — დაინტერესდა მოხუცი.

მაიკლი დუმდა.

— მითა ეამიდან აქა ცხოვრობ, — განაგრძო ქალმა და პოლისმენს გამომცდელად შეაცქერდა, — ასეთი რამ კი პირველად გავიგონე. ეს სახლი ჯერ კიდევ მამაჩემმა ააშენა, ცალყურა ბილმა, ოქროს ციებცხელებიანი დროს. ეჰ, რამდენი ოქრო გვქონდა მაშინ!

მაიკლმა უხერხულად მოინაცვლა ფეხი. ცალყურა ბილის ისტორია მთელმა ჭერისვილმა იცოდა. მოხუც ჯოუნზისათვის ეს საყვარელი თემა გახლდათ და ორი საათი შეეძლო ამაზე ლაპარაკი.

— ესე იგი, სულ აქა ცხოვრობთ, — სთქვა მაიკლმა, რომ მოხუცისათვის ამოჩემებული მოგონებანი შეეწყვეტინებინა.

— ისევ აქა ვცხოვრობ, — დაუდასტურა მოხუცმა, — სწორედ იმ დროიდან, როცა ცალყურა ბილმა...

— მერე და რითი ირჩენთ თავს? — ისევ შეაწყვეტინა მაიკლმა და საკუთარი თავისადმი ზიზღი იგრძნო.

— დანაზოგით, — დაიჭრიალა ქალმა.—აბა რითი უნდა ვირჩენდე?

— მთავრობა ხომ გაძლევთ დახმარებას, — ფრთხილად შენიშნა მაიკლმა.

ქალმა სწრაფი მზერა ესროლა და თვალებში ბოროტი, მოლურჯო სხივები გაუკიაფდა.

— იმ დახმარებით, რომელსაც მთავრობა მაძლევს, ჩემი კატა ცხოვრობს, — ჩაისისინა მან, — დახმარება მარტო მაგასა ჰყოფნის,—და გამხმარი მწვანე თითი კატისკენ გაიშვირა.

მაიკლმა თავი მიიბრუნა. კატა საპურეში იწვა და უძრავი მომნუსხველი თვალებით შესცქეროდა. მასაც ისეთივე მოლურჯო სხივები ენთო თვალებში. მაიკლი ცოტა არ იყოს შეცბა.

— კარგი, — სთქვა მაიკლმა შემრიგებლური კილოთი, — ჩემზე ნაწყენი ნუ დარჩებით, სამსახურში ყველაფერი ხდება. — ორი თითი ქუდზე მიიდო. გამოსვლისას ფეხი ძველ ტომარას წამოჰკრა და ქვრივებს გულში ერთი ლაზათიანად შეუკურთხა.

მაიკლს სახლში ფეხიც არ ჰქონდა შედგმული, რომ ქვრივები მივარდნენ.

— რაა! — წამოიძახეს ერთხმად.

— ბებერმა მითხრა გაგიყებულხარო, — გაყინული ხმით თქვა მაიკლმა, — მაგრამ, ალბათ, თქვენს ხართ ორივე გაგიჟებული. არავინაც არ არის იმასთან.

— როგორ თუ არ არის! — წამოიძახა გვენდოლენ უინჩმა.

— როგორ თუ არ არის! — ბანი მისცა მარგარეტმა. — ჩვენ თვითონ დავინახეთ!

— აბა, რა, ჩვენ თვითონ დავინახეთ, — გაიმეორა გვენდოლენმა.

— მე თქვენ გელაპარაკებით, არავინ არ არის, და არც შეიძლება იყოს, — მოუჭრა მაიკლმა.— ორი ცარიელი ოთახი და ყველაფერი ჩაკეტილი. გასაგებია? ფუჭ, ვინც თქვენ კიდევ დაგიჯერეთ! — ჩაიქნია ხელი და ისე წავიდა, არც კი გამომშვიდობებია.

ქვრივებმა დაბნეულად გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ გადაწყვიტეს ეს საქმე ასე არ დატოვებინათ. მომდევნო კვირის განმავლობაში გულდაგულ ადევნებდნენ თვალს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათი შვილები კვლავინდებურად ღამის ორ-სამ საათამდის სახლში არ ბრუნდებოდნენ, 26 ნომრის კარი მეტად აღარ გაღებულა, მოხუც ჯოუნზის სახლში აღარავინ შესულა.

კვირის ბოლოს კი ქვრივ სტივენსთან განრისხებული გვენდელონ უინჩი შემოვარდა.

— სულ შენი ბრალია! — დაიწყო ყვირილი, — ვერ უყურებ, რეები მოიგონა. ტომი, ჩემი შვილი ბებერ ჯოუნზთან დადის ვითომ! იქ კი არა, ბატონ მორლოუსთან დადის! თვით ბატონ მორლოუსთან! მთელმა მერისვილმა იცის, რომ ჩემი ტომი ბატონ მორლოუსთან დადის!

მარგარეტ სტივენსი გაშტერებული შესცქეროდა ქვრივ უინჩს. ბატონი მორლოუ, მერისველის მერი, ყველაზე საპატიო კაცი იყო. უმწიკვლო სახელი ჰქონდა და ყველას როდი ერგებოდა ბედნიერება მერს სახლში სწვეოდა.

რაც არ უნდა ეთქვათ, ბატონ მორლოუს რესპექტაბელობა ყველას მიერ უდაოდ აღიარებული იყო. და თუმცა ქვრივები მისგან ორი ქუჩის მოშორებით ცხოვრობდნენ, მანძილი ყოველთვის ისე დიდი ეჩვენებოდათ, როგორც მთვარემდის და თითქმის მეტიც, რადგანაც მთვარეზე მოხვედრის რაღაცა იმედი მაინც არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ასე სწერენ გაზეთები... ბატონ მორლოუს სახლში მოხვედრა კი შეუძლებელი იყო.

— მოიცა, გვენ, — სთქვა ბოლოს მარგარეტმა, — ნუ ხმაურობ. შეიძლება შენი ტომი ახლა კი დადის ბატონ მორლოუსთან, მაგრამ ბებერ ჯოუნზის ამბავი, ხომ მე და შენ საკუთარი თვალითა ვნახეთ...

გვენდოლენი მოულოდნელად ჩაჩუმდა, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

— ვნახეთ, ვნახეთ... იქნება, ჯადოქრობა იყო? პოლისმენ მაიკლს აკი არაფერი უნახავს!

— მან დაინახა, როგორ მიიკეტა კარი, — ჯიუტად გაიმეორა მარგარეტმა.

— მერე რა? იქნებ, თვითონ ბებერი ჯოუნზი იყო გარეთ გამოსული. არ შეიძლება გარეთ გამოვიდეს?!

— შენ ხომ დაინახე თვითონ...

— არაფერიც არ დამინახავს! — აფეთქდა გვენდოლენი, — და არც ვიცი რამე. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი ტომი ბატონ მორლოუს სახლში დადის, მორჩა და გათავდა! შენი კი სახელის გაგონებაც არა მსურს. — შემობრუნდა და ღირსეული სახით დასტოვა მარგარეტ სტივენსის სახლი.

ეს იყო მათი მრავალი წლის მეგობრობის დასასრულის დასაწყისი.

მეგობრობის დასასრული კი რამდენიმე დღის შემდეგ დადგა. მარგარეტ სტივენსი ქვრივ უინჩს შეხვდა და გესლიანად განუცხადა, რომ მისი შვილი ენდიც დადის ბატონ მორლოუსთან სახლში, და არც მას სურს გვენდოლენ უინჩის ცნობა; ახლა მას სულ სხვა წრე ჰყავს. სიმართლე რომ ითქვას, მარგარეტ სტივენსმა ცოტა არ იყოს შეცოდა ჰეშმარიტების წინაშე. ბატონ მორლოუსთან თვითონ არც ერთხელ არ იყო ნამყოფი, ისევე როგორც, სხვათაშორის, ქვრივი გვენდოლენ უინჩი. ბატონ მორლოუს კეთილგანწყობა მხოლოდ მათმა ვაჟიშვილებმა დაიმსახურეს.

ამრიგად, ბატონ მორლოუს კეთილგანწყობის შუქში სხივი გაუკრთა ორი ქვრივის მეგობრობის სანთელს: ასე კრთებიან ვარსკვლავები მზის ამოსვლის ჟამს.

მთელი თვე მერისველში ეს ჩხუბი ჰქონდათ სალაპარაკოდ. ხოლო, როცა ლაპარაკმა მიჩუმება იწყო, ქალაქის მცხოვრებთ ახალი უჩვეულო სანახაობა წარმოუდგათ: მთელი ქალაქის გასწვრივ თავის კანტურითა და ხელში ჯოხით მოხუცი ჯოუნზი მიბრძანდებოდა. შავებში იყო ჩაცმული, ღრმა გლოვის ნიშნად ქუდზეც შავი კრეპი შემოეხვია.

მოხუცი ჯოუნზი საბაყლო ფარდულს არ გასცილებია თავის სიცოცხლეში. ახლა კი მდუმარე, საზეიმო სახით მთელი ქალაქის გასწვრივ მიდიოდა და აინუნშიაც არ აგდებდა გამვლელთა გაოცებულ მზერასა და ჩურჩულს. ასე მივიდა იგი ცენტრალურ მოედნამდის, სადაც პოლისმენი მაიკლი უსაქმურობისა და მოწყენილობისაგან იტანჯებოდა. მაიკლმა ცნობისმოყვარე სახით გახედა მოხუცს. „საინტერესოა, სათხოვრებაა?“ გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცი მისკენ მიემართებოდა.

— ყური მიგდე, შვილო, — თქვა მოხუცმა და ტუჩები მკაცრად მოკუმა. — ჩემთან წამოდი. რაღაცა უნდა მოგიყვე.

მის მზერასა და ხმაში პოლისმეხტა ისეთი რამ იგრძნო, რამაც აიძულა უსიტყვოდ უკან გაჰყოლოდა.

ქალმა იგი მეორე ოთახში გაიყვანა, რომელიც კვლავინდებურად ცარიელი იყო.

— დაჯექი, შვილო, — უთხრა მოხუცმა და სკამი მიუწია. მაიკლი მორჩილად დაჯდა, ქალი ფეხზე იდგა და თავს აკანტურებდა, ორივე ხელით ჯოხზე დაყრდნობილი.

— ამ სახლში მკვლელობა მოხდა, შვილო.

მაიკლმა ყურები ცქვიტა, მაგრამ თვალებში უნდობლობამ გაუელვა.

— იმათ ჩემი კატა მოკლეს, — განაგრძობდა მოხუცი და პოლისმენს თვალით ბურღავდა

მაიკლმა ხმამაღლა ამოიხვნეშა და სკამის ზურგს მიეყრდნო. აი, თურმე რა მკვლელობაზე ყოფილა ლაპარაკი! სწრაფად ძოავლო მაგიდას თვალი, საპურე ცარიელი იყო. მხოლოდ ახლა მიხვდა რას ნიშნავდა სამგლოვიარო კრეპი მოხუცის ქუდზე. გულში ერთი მაგრად შეუკურთხა საკუთარ თავს, ნამდვილი იდიოტის მეტი აქ ვინ მოვიდოდა მეორედ, და უწყინარი მიზეზის ძოგონებას შეუდგა, რომ აქედან გასულიყო.

— მათ მოკლეს ჩემი კატა, — მკაცრად გაიმეორა მოხუცმა, — და მე სიტყვა მივეცი ჩემ თავს, რომ მთელ ბახდას დამსახურებისამებრ მიეზღოს. — ტუჩები აიცმაცუნა, — ეს სახლი, შვილო, აქ უხსოვარი დროიდან დგას, იგი მამაჩემმა ააშენა, ცალყურა ბილმა, როცა ჩვენ ქვეყანაში ოქროს ციებ-ცხელება იყო. აი, სწორედ ამ ალაგას ცალყურა ბილმა ოქროს მიაგნო. ეჰ, რამდენი ოქრო იშოვა მაშინ...

პოლისმენმა ძაგძაგით დაამთქნარა. დაიწყო ახლა გუთავებელი სიმღერა ცალყურა ბილზე. მას კი ვერაფერი ვერ მოუფიქრებია, რომ ადგეს და წავიდეს, უნდა იჯდეს და ამ გამოთაყვანებული ბებრის ჩერჩეტს უსმინოს. ქალის ხმა თითქოს შორიდან, საიქიოდან მოესმოდა, მაგრამ უცბად ყური სცქვიტა.

— გვირაბია, — განაგრძობდა მოხუცი, — ცარიელი გვირაბი. მაშინ არ ამოვავსეთ. გვირაბი პირდაპირ მისტერ მორლოუს სახლთან მიდის...

მაიკლმა წინ წაიწია.

— შენ ამბობ,—სთქვა მან, — რომ გვირაბი რომელშიც ცალყურა ბილი ოქროს ეძებდა, ბატონ მორლოუს სახლთან მიდის?

— აბა რა! —თავი დაუქნია ქალმა. — აქედან სულ ორი ქუჩის შემდეგაა. მე ვერაფერს ვერ გავიგებდი, ოქრო რომ არ მქონოდა იქ დამალული. ჩავედი და ვიფიქრე, მოდი ვნახავ,

საით მიდის მეთქი-გვირაბი. მივდივარ და მივდივარ. უცბათ ზემოდან ხმა ჩამომესმა. ბატონი მორლოუ ბაშინვე ვიცანი, კიდევ ვიღაც ბიჭების ხმა მომესმა. ჰოდა, გავიგონე კონტრაბანდაზე და ნარკოტიკებზე ლაპარაკობდნენ. ბატონი მორლოუ კი ეუბნება: ჩემთან გამოჩენა საშიშია. ფრისკოდან კონტრაბანდა რომ დააქვს, იმ ბიჭმა გამაფრთხილაო...

— ქალო, ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს, — მკაცრად შეაწყვეტინა მაიკლმა, — ჩვენი მერი მორლოუ და კონტრაბანდა? როგორ შეიძლება ასეთი რამ?

მოხუცმა ჯოუნზმა ბოროტად ჩაიცინა.

— გაიგე, რასაც გეუბნები. დგასარ ზარმაც კატასავით იმ შენ მოედანზე და არაფერი არ იცი...

— კარგი, — შეაწყვეტინა მაიკლმა. — მაშინ ფრისკოდან აქ რატომ ჩამოჰქონდათ კონტრაბანდა?

— როგორ თუ რატომ? — სერიოზული ტონით სთქვა მოხუცმა. — გეტყობა, ტვინის განძრევა გიჭირს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ კვალი აბნიონ. აქედან კი ტვირთს საკრამენტოში აგზავნიან...

მაიკლი უსმენდა და სჯეროდა კიდეც და არცა სჯეროდა, ისე დაიბნა. ყოველივე ეს სიზმარს წაგავდა.

— ჰოდა, ვიფიქრე, — განაგრძობდა მოხუცი ჯოუნზი, — მოდი, შევთავაზებ ბატონ მორლოუს ჩემი სახლიდან იაროს-მეთქი. ამაზე შეიძლებოდა კაცს ფული გაეკეთებინა და ბატონმა მორლოუმაც ხუთასი დოლარი მომცა, მერე კი ორას-ორას დოლარს მაძლევდა თვეში. მაშინვე მოვრიგდით ერთმანეთში.

მოხუცმა უცბად ეშმაკურად ჩაიცინა.

— გასსოვს, ჩემთან რომ მოხვედი, შვილო? ბიჭები მართლა შემოვიდნენ ჩემთან, ყოველთვის დადიოდნენ ბატონ მორლოუსთან. მხოლოდ შენ რომ მოხვედი, გაგასწრეს. აბა, აქეთ წამოდი, შვილო.

შემოსასვლელში გაიყვანა და ძველი ტომარა გადასწია, რომელიც ფარდაგის მაგივრობას სწევდა.

— აბა, ეს საძვრენი ახსენი, — ისევ ჩაიცინა ქალმა.

მაიკლი დაიხარა და რგოლი მოსწია. იატაკის ოთხკუთხა ნაჭერი მსუბუქად და უხმაუროდ აიწია.

შავად დაეღო ხახა სარდაფს. მაიკლმა ხის კიბის საფეხურები შენიშნა, რომელიც ხვრელში იკარგებოდა.

— გამომყე, — უთხრა მოხუცმა ჯოუნზმა. სანთელი აანთო და ქვემოთ დაეშვა. — ყველაფერი იმათ შეაკეთეს, ხედავ, ახალი ბიჯგები დააყენეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შენ ჩემთან იყავი, იშვიათად მოდიან. ბატონ მორლოუს მე ვუთხარი, ვიღაცამ ჩემ სახლზე რაღაცა იყნოსამეთქი.

ქალი სულ უფრო და უფრო ქვევით ეშვებოდა, მერე ვიწრო დერეფანში გავიდა. გვირაბში სინოტივისა და სიდამპლის სუნი და სამარისებური სიჩუმე იყო. შუაგზაზე მოხუცი მოულოდნელად შეჩერდა და ორ მუქ ქვაზე მიუთითა:

— აი, აქ დავმარხე ჩემი კატა. — თავი მწუხარედ გადაიქნია, — ახლა აქ ორი საფლავი იქნება. მე ისინი გვერდიგვერდ დავმარხე.

— ვინ „ისინი“? — გაშტერდა მაიკლი და უცბად მოეჩვენა, რომ ჭკუაზე ცდება.

— როგორ თუ ვინ? — გაჯავრდა მოხუცი. ჩემი კატა და ბატონი მორლოუ.

— რა შუაშია აქ ბატონო მორლოუ? — ჰკითხა გამოლენჩებულმა მაიკლმა.

— შენ მართლა გიჭირს ტვინის განძრევა, შვილო, — სინანულით თქვა მოხუცმა. — აკი გითხარი, აქ მკვლელობა მოხდა-მეთქი. როცა ბატონმა მორლოუმ ბიჭებს უთხრა ეს გასასვლელი პოლიციამ იყნოსა და თამაშს ბოლო უნდა მოვუღოთო, ბიჭემა — ენდი სტივენსმა და ტომ უინჩმა — უკანასკნელი მოგება წაართვეს, თვითონ კი მოკლეს და გვირაბში ჩააგდეს. ჩემმა კატამ იგრძნო რაღაცა ავი, მთელი ღამე ჩხავილით გააყრუა. ჰოდა, როცა გვირაბიდან ამოვიდნენ, კატაც მოკლეს, სიწყნარე რომ ყოფილიყო, — მოხუცმა სანთელი ზევით ასწია. ხელი უთრთოდა, გვირაბის კედლებზე ფანტასტურმა ჩრდილებმა დაიწყეს ლიცლიცი. სამგლოვიარო კრეპი მწუხარედ გადმოფენოდა ქუდზე.

— კატისათვის რომ ხელი არ ეხლოთ, შენ ვერაფერსაც ვერ გაიგებდი, — ამოიხრა მან.

— კი მაგრამ, როგორ გამოიარეთ ასე თამამად მთელი ქალაქი, სანამ ჩემამდის მოხვიდოდით? — უთხრა მაიკლმა და სერიოზული სახე მიიღო. — ახლა მთელმა მერისვილმა იცის, რომ მე აქა ვარ.

— შენ რა, სულელი ხომ არ გგონივარ? — იწყინა მოხუცმა. — ენდი სტივენსი და ტომ უინჩი საკრანენტოში წავიდნენ საქეიფოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიქრი მესაიდუმლე

ფოტო ი. კიღურაძის

ა. კალანდაძე (მარჯვნივ), საქართველოს ხსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლები: ა. კილასონია (მარცხნივ) და კ. თავართქილაძე.

ოცდახუთი წელია მასწავლებლობს. ოცდახუთჯერ გაიხურეს სკოლის კარი მისმა აღზრდილებმა და დატოვეს მათთან დაშორების სინანული. მერე სიხარული მოდიოდა: წასულების ადგილს ახლები იკავებდნენ და მასწავლებელი დარდს ივიწყებდა. გულში რჩებოდა თბილი მოგონება და წასულებთან შეხვედრის მოლოდინი.

„ჩემს ძვირფას მასწავლებელს, უახლოეს მეგობარს, ჩემი ფიქრისა და აზრის ყველაზე დიდ მესაიდუმლეს, ადამიანს, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა რითი ვარსებობდი და რითი ვსუნთქავდი მე. ქალბატონ ანიკოს“.

რა თქმა უნდა, ყველა აღმზრდელს ესიამოვნება, როცა მას ნამოწაფარი ასეთ სიტყვებს მიუძღვნის, მაგრამ წარმოიდგინეთ სიხარული იმ პედაგოგისა, რომელსაც ეს სიტყვები წაუწერეს საკვეყნოდ განთქმულ წიგნზე — „მე ვხედავ მზეს“. „მისი უნიჭო და უდისციპლინო მოსწავლისაგან“. ნოდარ დუმბაძეს არც აქ ღალატობს იუმორის გრძნობა!

ვისაც მისი მოწაფეობის წლები ახსოვს, ღიმილით იგონებს შავთვალება, მეოცნებე, ბეჯით გოგონას, უზომოდ შეყვარებულს თავის სოფელზე.

მისი სოფელი ხიდისთავია, შუაზე რომ მდინარე გუბაზოული ჩაუდის ხმაურითა და ფაციფუცით.

„პედაგოგი უნდა დაიბადოს ისე, როგორც იბადებიან პოეტები, მხატვრები...“ ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს ადამიანებისაგან, რომელთაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მასწავლებლებთან.

ანიკო სწორედ ერთი იმათგანია, რომლებიც მართლა რომ პედაგოგებად დაბადებულან.

დიდი ხანია ანიკო კალანდაძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორია, ამ სკოლის მჩქეფარე, ხმაურიანი ცხოვრება მისი სიცოცხლის ნაწილია.

სკოლის ორსართულიანი კოხტა შენობა სილამაზეს მატებს სოფელს. სახელოსნოები, სხვადასხვა კაბინეტები, სპორტული დარბაზი — ყველაფერია ამ კეთილმოწყობილ სკოლაში. მის აგებასა და ინვენტარის შეძენაში კოლმეურნეობის წვლილიც არის.

...როცა ანიკო საღამოთი მარტო დარჩება და

ქორეოგრაფიული წრის წევრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაის პლანტაციაში

პიონერული რაზმეულის საბჭოს სხდომა

ნორჩი ნატურალისტები

წარსულს თვალს გადაავლებს, უკვირს როდის გავიდა ამდენი დრო — მეოთხედი საუკუნე. თითქოს გუშინ იყო სკოლის კარი რომ შეაღო გაუბედავად, მაგრამ გულში მტკიცე რწმენით — მთელი ცხოვრება ბავშვებისათვის მოეხმარებინა. „ბავშვები" — ეღიმება ანიკოს. მაშინდელი ბავშვები ახლა მწერლები, მეცნიერები, შრომის გმირები არიან...

„დღეს ბავშვებს სწავლისა და ცხოვრების უკეთესი პირობები აქვთ, ისინი თავიანთ წინამორბედებზე უკეთესები უნდა გაიზარდონ", — ფიქრობს ანიკო.

ხიდისთავის საშუალო სკოლა ერთერთი თითით საჩვენებელია მთელ რესპუბლიკაში პოლიტექნიკური სწავლებით.

სკოლას აქვს საკუთარი საცდელი ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები იძენენ შრომის პრაქტიკულ ჩვევებს. მისმა მოსწავლეებმა გასულ წელს 12 ათას მეტრ ნაკვეთზე ორმოცდაათ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ჩააბარეს სახელმწიფოს.

მნახველი არც კი დაიჯერებს, რომ ნაყოფით დახუნძლული ეს ხეხილი: ატამი, ვაშლი, მსხალი, ყურძნის მწკრივები მოსწავლეთა „შემოქმედებაა"...

შემოსავალი მთლიანად სკოლის კეთილმოწყობასა და სასკოლო ხარჯებს ხმარდება.

მეოჯახეობაც ხომ უნდა იცოდენ მომავალმა დიასახლისებმა?! ჰოდა, ანიკომ მათ სარეცხის მანქანა, მტვერსასრუტი, საკერავი მანქანა შეუძინა.

ხიდისთავის საშულო სკოლა 1955, 1956, 1957 წლებში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახლდათ; გამოფენას ხიდისთავის საშუალო სკოლის გურული კოლორიტით გაფორმებული სტენდიც ამშვენებდა... გამოფენაში წარმატებით ძონაწილეობისათვის სკოლა მედლით დააჯილდოვეს.

მართალი, გულწრფელი, ერთი საქმისათვის თავდადებული 35-კაციანი კოლექტივი მუშაობს ხიდისთავის საშუალო სკოლაში. მათ რიგებს ამშვენებენ დამსახურებული პედაგოგები: აგნესა კილასონია და კასიანე თავართქილაძე.

ამ კოლექტივის ჰარმონიულობის მიზეზიც ანიკოა. იგი მუდამ გვერდში უდგას თითოეულს ჭირსა თუ ლხინში, მათი პირველი მრჩეველი და თანამოაზრეა.

სკოლის გარეთაც აღწევს ანიკოს გულის სითბო. ხიდისთაველები ანიკოს აზრს ანგარიშს უწევენ, ამაყობენ ამაგდარი, წლების სიბრძნით დამძიმებული სკოლის დირექტორით.

შრომაში სწრაფად გარბის დრო, თვალის დახამხამებაში ვაჟკაცდებიან ბავშვები, მაგრამ თავიანთი მასწავლებლის წინაშე მაინც მორიდებით ხრიან თავს, მის ავტორიტეტულ სიტყვას კანონად იხდიან.

ბედნიერია ადამიანი, რომელსაც მიუხედავად განვლილი სიძნელეებისა, უკან მოხედვის არ ეშინია, იგი წინაც თამამად იყურება, თვალს ვერ აწვდენს გზის დასალიერს.

ნანული გუკია

ჟ ლ ი ა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— იცნობთ ლიას? არა?

როცა შემხვდება, პატარა ბიჭივით ვწითლდები. ბევრი რაიმე მინდა ვუთხრა, მაგრამ ვერაფერს ვეუბნები. მუნჯივით მივყვები და ვუსმენ. ლია მატყობს ამას, ალბათ.

ნეტავ რას ფიქრობს?.. იქნებ, ორივე ერთნაირად ვფიქრობთ.

გუშინაც, როგორც ყოველთვის, ისე იყო:

მე მოედნის კუთხეში, გასტრონომთან ვიდექი კედელზე მიყრდნობილი და ლიას ველოდი. გამყიდველი, ღაჟღაჟა ლოყებიანი, ჩასუქებული ქალი, უკვე მიცნობს, რადგან ხშირად მხედავს. რომ დამინახავს, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმებს. იმიტომ ეღიმება, ალბათ, რომ მასაც უყვარდა ვინმე როცა ჩემი ხნის იყო. — ვფიქრობ მე და თვალი ქუჩისაკენ მიჭერავს, თან საათს ვუთვალთვალებ. იპარავს ისრები დროს. ლია იგვიანებს. ნეტავ, რას სწავლობს ამდენს? თუ განგებ აკეთებს, — იცის რომ ველოდები. მოვკრავ თვალს თუ არა, მაღაზიიდან გავალ. ვითომ შემთხვევით შევხვდი, მაგრამ გოგონები ეშმაკები არიან, ყველაფერს ხვდებიან — ისიც ხვდება. მერე რა, მიხვდეს!... ეს ერთი მხრივ კარგიცაა.

— მომიკიდეთ პაპიროსს! — ბრძანების კილოთი მეუბნება ვიღაც მაღალი კაცი.

არც კი შემიხედავს მისთვის. ვიღებ ჯიბიდან ასანთს და ვაძლევ.

ხუთ ღერს გაჰკრა. არცერთს არ მოეკიდა.

— ფუ, რა საძაგლობაა! — ბუზღუნებს იგი. მე ქუჩას გავყურებ. მარტო სიტყვები მესმის... როგორც იქნა, მოუკიდა. გმადლობთო — მითხრა, ასანთი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ასეთმა წვრილმანმა გაყოლა იცის. მეც მომსვლია ბევრჯერ. არ დამიძახნია, მარტო თვალი გავაყოლე მის მოხრილ ზურგს, მერე ქუჩის მეორე მხარეს გადავიტანე მზერა.

ფეხი შევინაცვლე. მარჯვნივ გადავიტანე ტანის სიმძიმე. კვლავ იპარავდა ისრები დროს. პაპიროსი გამითავდა, არც ფული მქონდა. მანეთიანი მედო ჯიბეში და მასზე ვამყარებდი იმედს — იქნებ კინოში წამომყოლოდა ლია.

გამყიდველი ქალი ისევ მითვალთვალებდა, ოღონდ ახლა აღარ ეღიმებოდა. იმანაც მოიწყინა ჩემსავით, შემატყო, რომ დავიღალე. ვატყობ, გამოლაპარაკება უნდა, მაგრამ მყიდველები ამის საშუალებას არ აძლევენ. მერე რამდენიმე ნაცნობმა ჩამიარა გვერდით. თვალი ავარიდე, ვიცოდი მათი ხასიათი, საუბარს გამიბამდნენ. არ მცალია ახლა მე მათთვის, ლიას ველი,

— ვამბობ ჩემთვის ზეონი ვერ დამინახეს. ყური მოვკარი ფეხბურთზე კამათობდნენ გაცხარებით. ბურთი, მოგეხსენებათ, ისეთი ჯადოსნური რამ არის, ნაცნობს კი არა, საქმეებსაც დაგავიწყებს. მე ბოლო დღეებში ფეხბურთსაც ვაცდენდი ლიასთან შეხვედრის ზეულისთვის. უკვირდათ ბიჭებს, მე და ფეხბურთის გაცდენა?.. გუმანით რაღაცას გრძნობდნენ. მთლიანად მაინც ვერ გაეგოთ რაში იყო საქმე...

ისევ შევხედე საათს. ოთხი სრულდებოდა.

გამყიდველს ვიღაც ხანში შესული კაცი ედავებოდა. ხალხი შეგროვდა, ზოგი თავს ირთობდა, ზოგი აქეზებდა. ბოლოს მაღაზიის გამგე ჩაერია საქმეში. მოხუცს დამშვიდება დაუწყო და თავის კაბინეტისაკენ წაიყვანა...

ათჯერ მოვიდა და ათჯერ წავიდა ტროლეიბუსი. ვერცხლისფრად შეღებილ ელექტრონის ბოძებს ჩრდილი დაუგრძელდათ...

ორი ქალიშვილი გამოჩნდა მოსახვევში, ერთს წითელი, მეორეს მომწვანო პალტო ეცვა.

ლიაც მწვანე პალტოს იცვამდა. დავაკვირდი, შორიდანვე ვიცანი, გამბედაობა მოვიკრიბე, თავი გავიმხნევე და ქვაფენილზე გამოვედი.

მან დამინახა და გამიღიმა. ასე იცოდა ყოველთვის. თავი სერიოზულად დავიჭირე. ვგრძნობდი სახე მაინც მიხურდა, ფეხიც მეშლებოდა.

— სად მიდიხარ? — მკითხა მან.

— არ ვიცი — სიმართლე წამომცდა.

ცოტა ხანს ერთ ადგილზე ვიდექით, მისი ამხანაგი შეპარვით მაკვირდებოდა, მაგრამ ახლაც არ მახსოვს მისი სახე, მხოლოდ წითელი პალტო ჩამრჩა მეხსიერებაში. მერე ის წავიდა, მე კი მისი მადლიერი დღესაც ვარ ასეთი გონივრული საქციელისათვის. ამას ყველა როდი მოიფიქრებს, აგეწებება გვერდით და გინდა თუ არა, იძულებული ხარ ელოდო როდის ინებებს წაბრძანებას...

— მე სახლში უნდა წავიდე — მეუბნება ლია.

— მე კი კინოში მინდოდა წასვლა შენთან ერთად, — ვეუბნები მე და ისე ვგრძნობ თავს, პასუხის მოლოდინში, თითქოს გახურებულ ღუმელზე ვდგავარ.

— კინოში?

— ჰო, კინოში!

— სამეცადინო მაქვს.

— შენ სულ ასე მეუბნები, — გულდაწყვეტით ვუთხარი და რამდენიმე ნაბიჯით წავედი წინ. ასე მივედით მოსახვევამდე. იქ შევჩერდით.

— წამოხვალ?! წამოდი რა!..

მან პირდაპირ შემხედა, მერე თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ეტბილად გამიღიმა. მომეჩვენა, თოთქოს გავიზარდე. მანეთიანი მოვსინჯე ჯიბეში და შვებით ამოვისუნთქე.

ვიჯექი მის გვერდით, წინ და უკან ვიღაცეები ისხდნენ და ეკრანს მისჩერებოდნენ. მე უფრო ხშირად ლიას ვუყურებდი. მინდოდა მისი ხელი ხელში ამეღო და მოვფერებოდი. სმენა ისე მქონდა გამახვილებული, მისი გულისცემა და სუნთქვაც კი მესმოდა. უამრავი სიტყვები ფიქრები, ოცნებები მერეოდა თავში, მინდოდა რამე თბილი მეთქვა. მეთქვა, თუ როგორ მიხაროდა მის გვერდით ყოფნა, მაგრამ ეს სიხარული იმდენად დიდი, გამოუთქმელი იყო, სიტყვებად არ იქცეოდნენ. ეკრანზე კადრები ცვლიდა ერთმანეთს. ვაჟი ქალიშვილს კოცნიდა, მერე ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიაბიჯებდნენ ფართო ხეივანში, ოცნება გადაეფარა ჩემს გონებას. ეკრანზე უკვე ახალი კადრი იყო. მე მაინც ფართო გზას ვხედავდი და ამ გზაზე მე და ლია მივდიოდით... უცებ სინათლე აინთო, თეთრი ეკრანი გამოჩნდა, სკამები ახმაურდა. მერე ლიას ხმა მომესმა.

წამოვდექი.

— მოგეწონა სურათი? — მკითხა მან.

არაფერი მითქვამს, კმაყოფილება დუმილით გამოვხატე. მზად ვიყავი მის გვერდით ვმჯდარიყავი და ყველაზე უფრო ცუდი სურათი რამდენჯერმე მენახა.

კინოდან გამოვედით.

ცაზე ვარსკვლავები ცელქობდნენ. მარტის თბილი საღამო იყო. ნელი ნაბიჯებით მივყვებოდით ქუჩას. მინდოდა სიჩუმე დამერღვია და ჩემდაუნებურად ვთქვი პირველი სიტყვა, რომელიც ენაზე მომადგა:

— ხვალ კარგი დარი იქნება. ნახე, რამდენი ვარსკვლავებია!

ლიამ ცას ახედა.

— გიყვარს ვარსკვლავები? — ვკითხე მერე მე.

— ძალიან, ძალიან მიყვარს. როცა ვარსკვლავებს ვუყურებ, ოცნებობ ბედნიერებაზე და სიცოცხლე უფრო დაუშრეტელი მეჩვენება.

— მეც მიყვარს ვარსკვლავები! „მე შენც მიყვარხარ“ — გავიფიქრე და ეს ფიქრი ისევ გულში ჩავიტოვე. თანაც ბრაზი მომერია საკუთარ თავზე. ამან უფრო დამიბა ენა. გზა კი თანდათან ილეოდა. მარტო როცა მივდიოდი, უსასრულოდ მეჩვენებოდა ეს ქუჩა. ძნელია მარტო სიარული. მაშინ ყველაფერი მოსაწყენი და გრძელი გეჩვენება. ბედნიერების წუთები მუდამ მოკლეა — ასე იყო იმ საღამოსაც. უკვე მის სახლთან ვიყავით. რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა ვუთხარი, მერე ის შინ შევიდა.

მე კვლავ ძველ ადგილზე ვიდექი. ეს ქუჩა, ცისფრად შეღებილი მესერი, მისი ეზო, სახლი და ამ სახლის მაღალი, მრგვალსახელურიანი კარიც კი, რომელსაც ის ყოველდღე ჰკიდებდა ხელს, უსაზღვროდ მიყვარდა; ეს დიდი სიყვარული იყო და ალბათ ამიტომ ახლდა დიდი მოკრძალება.

ხ. ხეგუა,
ქუთაისი.

„დეიდა ტატა“

სწორი, გამართული მეტყველების განვითარება ბავშობის ასაკიდანვე მოითხოვს დიდ ყურადღებას. მეტყველების მცირე ნაკლიც კი ზოგჯერ ხდება მიზეზი ბავშვსა და გარემოს შორის არანორმალური ურთიერთობისა, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ამ მეტად სათუთ საქმეს ემსახურება ლოგოპედია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ლოგოპედია, როგორც ცალკე დარგი, არ იყო ცნობილი. ბავშვები, რომლებსაც მოშლილი ჰქონდათ მეტყველება, რჩებოდნენ ყოველგვარი ლოგოპედიური დახმარების გარეშე ან მკურნალობდნენ ჩვეულებრივი საექიმო მეთოდებით, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. ოცდაათიანი წლებიდან იწყება ჩვენში ლოგოპედიის განვითარება.

საქართველოში ლოგოპედიური მუშაობა პირველად პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ანასტასია ალექსანდრეს ასულმა კაიშაურმა დაიწყო. შემდეგ მას გვერდში ამოუდგა აწ განსვენებული ნინო გიორგის ასული არამბაძე. მათი პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობა სწარმოებდა პროფესორ გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის ბაზაზე, რომელსაც განაგებდა აწ განსვენებული პროფესორი ა. გოცირიძე.

საქართველოში ლოგოპედიის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ტატიანა კონსტანტინეს ასულ უგულავას სახელი, რომელსაც პატარა პაციენტები სიყვარულით „დეიდა ტატას“ ეძახიან. ლოგოპედიის განვითარების გარიჟრაჟზე იგი, ახალგაზრდა ფსიქოლოგი, შეუდგა ამ მეტად პასუხსაგები და შრომატევადი დარგის შესწავლას ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტში.

მისთვის ჩვეული ენერგიით, საქმისადმი სიყვარულით და უაღრესი პასუხისმგებლობით ეწევა ტატიანა უგულავა სამი ათეული წლის მანძილზე მოღვაწეობას ლოგოპედიაში.

1940 წელს ტატიანა უგულავას ხელმძღვანელობით ქუთაისში დაარსდა ლოგოპედიური კაბინეტი. მაშინ ეს ერთადერთი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში. უმრავლესობამ არც კი იცოდა მისი მნიშვნელობა, ავადმყოფი თუ კარგადმყოფი გაოცებული უყურებდა ქალაქის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში სარკით, სათამაშოებით და საბავშვო წიგნებით მორთულ ოთახს. მაგრამ რა დიდი იყო სიხარული და მადლობის გრძნობა, როცა სათანადო ლოგოპედიური მკურნალობის ჩატარების შემდეგ (ლოგოპედიური მკურნალობა თვეობით და ზოგჯერ წლობით გრძელდება) ამეტყველებული მოზარდები და ჭაბუკები ამაყად და საკუთარ თავში დარწმუნებულნი სტოვებდნენ ლოგოპედის კაბინეტს. მარტო კაბინეტის ფარგლებში არ ხდებოდა მუშაობა. ტატიანა უგულავა სისტემატურად ატარებდა ლექცია-საუბრებს საექიმო საზოგადოებაში, სკოლებში, პედაგოგებთან, მშობლებთან. ამის შედეგად მრავალ მეტყველებამოშლილ ბავშვს დროულად ჩაუტარდა სათანადო ლოგოპედიური დახმარება და ისინი სწორი მეტყველებით დაუბრუნდნენ კოლექტივს.

ბევრ მათგანს აღარც კი ახსოვს ბავშვობის ეს მძიმე ნაკლი. მაგალითად, დათო გ. ამჟამად 20 წლის სტუდენტი, 3 წლის ასაკში მძიმე ენაბლუობის გამო დედამ ლოგოპედთან მიიყვანა. მთელი წლის გულმოდგინე შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდა. პატარა დათო თავისი ტოლებივით აჭიკჭიკდა და მას შემდეგ, როგორც დათოს დედა გადმოგვცემს, ერთხელაც არ წაუბორძიკებია.

მაგრამ თამარ მ-ს არასოდეს დაავიწყდება მომწიფების ასაკში განვლილი 5 წლის ტანჯვა, როდესაც ქუჩაში გამოსულს უბნის ბავშვები სულით ავადმყოფად სთვლიდნენ და ემალებოდნენ. ბედნიერმა შემთხვევამ იგი ლოგოპედთან მიიყვანა. სათანადო ლოგოპედური ჩარევის შემდეგ იგი ჩვეულებრივ ამეტყველებული ჩაება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიიღო უმაღლესი განათლება და ამჟამად მუშაობს ქუთაისის ერთერთ დაწესებულებაში.

სამამულო ომის წლებში ტატიანა უგულავა მაღალკვალიფიციურ დახმარებას უწევდა ქუთაისის ევაკოჰოსპიტლებში დაჭრილებად - თავგადაყრილ მეომრებს, რომელთაც კონტუზიის შედეგად მეტყველება ჰქონდათ მოშლილი.

1952 წლიდან ტატიანა უგულავა თბილისშია, მუშაობს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. იგი ითვლება რესპუბლიკის მთავარ ლოგოპედად, ხელმძღვანელობს ლოგოპედთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მას მუდმივი კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის ყველა წამყვან ლოგოპედიურ დაწესებულებასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებს მეტყველების მოშლის საკითხებზე ჩატარებულ კონფერენციებსა და სემინარებში, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით და პასუხისმგებლობით აცნობს ქართული ლოგოპედიის მიღწევებს საკავშირო ლოგოპედთა საზოგადოებას, აქ კი ჩამოაქვს ახალი მიღწევები და ფართოდ ნერგავს ქართველ ლოგოპედთა შორის.

ტატიანა უგულავა არის ყრუ-მუნჯთა სკოლებისათვის რამოდენიმე ლოგოპედიური სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

„დეიდა ტატას“ სამუშაო ოთახი მუდამ სავსეა პატარა პაციენტებით. მათ არ აშინებს მისი, თეთრი ხალათი. სიყვარულით სავსე თვალებით შესცქერიან ერთმანეთს მკურნალი და ავადმყოფები სასურველი შედეგების მოლოდინში.

ნინო ნადირაძე

ა. ახვლედიანი

ვინც გვალაგზე...

ქუჩაში მოდიან ორნი, ორი სხვადასხვა წლოვანების ქალი: თექვსმეტი წლის გოგონა და ოცდათექვსმეტი წლის ქალი. ვერ ვიტყვით, გოგონა ლამაზია, ვერც იმას ვიფიქრებთ, ულამაზოა: თვალები უელავს, თმა უბზინავს, ლოყები ატმისფრად აქვს ატკეცილი. ტანზე უბრალო ჩითის კაბა აცვია, ისე კეკლუცად მოაფრიალებს, გეგონებათ რომელიმე გამოჩენილი ხელოსნის ნახელავი იყოს. გოგონა თექვსმეტი წლისაა, მას ყველაფერი უხდება...

ოცდათექვსმეტი წლის ქალზე გამვლელები ფიქრით ერთხმად აღიარებენ, რომ ის ლამაზია: მაღალი, თხელი, ჩამოსხმული ტანფეხი, მწვანე თვალები. აცვია გემოვნებით შეკერილი საზაფხულო კოსტუმი, ასევე გემოვნებით შერჩეული აქსესუარებით. ის ალამაზებს ქუჩას, ქუჩა ალამაზებს მას, და ქალი, დარწმუნებული თავის გარეგნობაში, ამაყად, თავაწეული მოდის. ვცადოთ, და უცებ, გონების თვალით ჩამოვაცილოთ ქალს ეს მოხდენილი ჩაცმულობა, კოსმეტიკა. დარჩება ისევ ისეთი ლამაზი, ახლა რომ ვხედავთ? გააყოლებენ მზერას გამვლელები?

თუმცა, ეს რაღა დაჟინებაა? განა არ ჯობს, გავყვეთ ოცდათექვსმეტი წლის ქალს, გავყვეთ და ვნახოთ ისინი, ვინც მას ამშვენიერებენ...

ქალი მოდების ატელიეშია...

ამ ოცდაშვიდი წლის წინათ, ლენინგრადში ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე, როცა თეატრში ფარდა აიხადა და სცენაზე თეთრ სამოსში გამოწყობილი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემსრულებლები გამოჩნდნენ, აღტაცებულმა მაყურებელმა მათ ოვაციები გაუმართა, ხოლო ცნობილმა ბალერინამ გალინა ულანოვამ ვეღარ მოითმინა და წამოიძახა: „ვინ იცის, რამდენი მხატვარი მუშაობდა ამ სამოსის შესაქმნელად!“ ალბათ, გაოცდა ულანოვა, როცა უთხრეს — ეს მხოლოდ ერთი მკერავის, საშა ახვლედიანის შემოქმედებაა.

ასევე ტაშით აჯილდოვებდნენ ქართველ სპორტსმენთა სამოსს ფიზკულტურელთა საკავშირო პარადზე: ვაჟებს ეცვათ ქულაჯები, ქალებს —ჰაეროვანი კაბები. ამ კოსტუმების შექმნას საშა ახვლედიანმა მოახმარა მთელი თავისი ოსტატობა და გემოვნება. ეს იყო მისი დიდი გამარჯვება და აქედან გაითქვა სახელი, როგორც კერვის შესანიშნავმა ოსტატმა.

მაყურებელს ჯერაც არ ავიწყდება დავით ჯავრიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლი. სცენაზე შავ ნაბდებში გამოწყობილი მამაკაცები გამოჩდნენ. უცებ ნაბდები გადაიწია, ქალიშვილები გამოიშალნენ და მთელი სცენა თითქოს ცეცხლმა მოიცვა. მოცეკვავეები იმდენად ჰაეროვანნი და ნარნარნი ჩანდნენ ალისფერ კაბებში, ვარსკვლავებივით მოციმციმე თხელ შარფებში, რომ დარბაზში დიდხანს ქუხდა ტაში. ეს კოსტუმების ავტორს აჯილდოვებდნენ.

ბევრი საზღვარგარეთელი სტუმარი მოხიბლულა საშა ახვლედიანის ხელოვნებით, ბევრმა ჩაიცვა და მოირგო კიდეც მისი ნახელავი. მათ შორის იყვნენ აწ განსვენებულის, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს ქალიშვილი — ინდირა განდი, ბელგიის დედოფალი ელისაბედი, ავღანეთის მეფე და დედოფალი და სხვები.

მრავალჯერ შემოსა საშამ ჩვენი გამოჩენილი მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო რამიშვილი, ლილი გვარამაძე. და ალბათ, ბევრს ახსოვს ნატო ვაჩნაძის მარწყვისფერით გაწყობილი ნაცრისფერი კაბა, საოცრად რომ შვენოდა ჩვენს კინოვარსკვლავს.

ხელოვანიცაა და მკერავიც. ვინ მოთვლის რამდენი კაბა, რამდენი პალტო შეუკერავს საშა ახვლედიანის მარჯვენას. შეუკერავს თუ შეუქმნია?

ყველას როდი უხდება ის, რაც მოდაშია. ზოგჯერ სულ პირიქით ხდება. საშა კი ყოველთვის ცდილობს მონახოს ისეთი ხაზები, მოდას რომ ძალიან არ დააშორებს, მაგრამ დაამშვენებს ადამიანს.

— საკუთარი გარეგნობის ობიექტური შეფასების უნარი, მოდა და გემოვნება. — აი, ძირითადი საკითხები, რითაც ქალებმა უნდა იხელმძღვანელონ კოხტად და ელეგანტურად ჩაცმისათვის, — ამბობს საშა. — წამბაძველობა კი ყველაზე უსიამოვნო შედეგების მომტანია...

ორჯონიკიძის რაიონის № 1 მოდების ატელიე (დირექტორი ალ. პატარიძე), რომელსაც საშა ახვლედიანმა ჯერ კიდევ 1932 წელს ჩაუყარა საფუძველი, უკვე სახელმოხვეჭილი ატელიეა. აქ კერავენ საშას გაზრდილები: მარიამ ლებანიძე, სირფუი დავითიანი, ნადეჟდა ჟვანია, ისაკ ციირიფი და სხვები. საშაც მათთანაა და თავისი კონსულტაციებით ეხმარება კოლეგებს. მას უხარია, როცა ატელიეს ნახელავით კმაყოფილი და დამშვენებული მიდიან ადამიანები.

ბავშვობიდანვე უყვარდა კერვა მარიამ ლებანიძეს. ჯერ მისი პატარა ხელების ნახელავი დედოფალებს ამშვენებდა, მერე თანდაყოლილი ნიჭის ძახილმა მოწაფედ დააწყებინა მუშაობა არტელ „მკერავთა კომუნის“ № 1 ატელიეში, სადაც ცნობილი მოდელიორი ვერა შმულევიჩი კერავდა. პატავისცემით იხსენებენ შმულევიჩის ამაგს

მარიამ ლებანიძე

სირფუი დავითიანი

მისი მოწაფეები დღესაც. ის უაღრესად გემოვნებიანი მკერავი-მოდელიორი იყო. მრავალი წლების წინ მას მოსკოვში, კერძო სახელოსნოში ჰქონია ხელობა ნასწავლი. ამ სახელოსნოში გამომჭრელად ყოველთვის პარიზიდან ჩამოყვანილი სპეციალისტი ჰყავდათ. ვერას იქ რამდენიმე წელი გაუტარებია: ორი წელი უთოს აჩაღებდა, მერე დიდხანს ღილებს აკერებდა და სალამბავ სამუშაოებს ასრულებდა. იმდენად ყვარებია კერვა, რომ ღამე, როცა მკერავები სახლებში მიდიოდნენ, ვერა იქ რჩებოდა. დალამბულ კაბებს არღვევდა და ხელმეორედ კერავდა. ერთხელ, როცა ფრანგი ქალი ავად გახდა და სახელოსნო გასაჭირში აღმოჩნდა, ამ შეუმჩნეველმა გოგომ გამომჭრელობა იკისრა და ყველა გააკვირვა მისმა ნიჭმა და გემოვნებამ. შემდეგ შმულევიჩი საქართველოში მოხვდა და ბევრი კარგი ხელოსანი გაზარდა. მარიამ ლებანიძეც მისი მოწაფეა. მკერავს განსაკუთრებით მოსწონდა ეს შავგვრემანი, ცინცხალთვალება ქალიშვილი. აკი, როგორც თვითონ ამბობდა, მარიამისგან შესანიშნავი ხელოსანი დადგა. ახლა ის № 1 მოდების ატელიეში ქალთა კაბების მთავარი გამომჭრელია. რაც შმულევიჩთან დააკლდა, საშასთან შეივსო და ისწავლა.

ადამიანის სხეულის დეფექტები ნამდვილმა ხელოსანმა ისე ოსტატურად უნდა დაფაროს, რომ ლამაზიც კი გამოაჩინოს, — ასე წამს და ასე კერავს მარიამ ლებანიძე...

ომის დროს მოვიდა ატელიეში სირფუი დავითიანი. წლების მანძილზე გოგონას მხოლოდ შავ საქმეს ავალებდნენ და არც არავის ეგონა, თუ მისგან ოდესმე კარგი მკერავი დადგებოდა. ჰოდა, აი, ამ ოთხი წლის წინათ კლიენტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სირფუი განსაკუთრებული სიზუსტითა და დაკვირვებით აკეთებს ჩაზომვებს. ჩუმი და უპრეტენზიო მუშა-მკერავი უცებ დასრულებულ ოსტატად მოევლინა ატელიეს. მას ქალთა პალტოების გამომჭრელობა ჩააბარეს. ახლა დავითიანს კლიენტთა უმრავლესობა იცნობს.

სოფიო ქავთარაძისათვის კერვა არ უსწავლია არც ვერა შმულევიჩს და არც საშა ახვლედიანს, მაგრამ მათთან ერთად წლობით მუშაობამ მაინც თავისებური ბეჭედი დაასვა მის ხელს.

ბავშვობიდანვე დაჰყვა კერვისა და ხატვის ნიჭი. მასწავლებლები ურჩევდნენ ხატვას გაჰყოლოდა, მაგრამ სოფიომ კერვა ამჯობინა, ადამიანის გალამაზების პროფესიამ მიიზიდა. ისევე, როგორც მხატვარი ღელავს თავისი პორტრეტის წარმატებაზე, სოფიოც განიცდის ყოველი შეკერილი კაბის შეფასებას. ამიტომ ის ყოველთვის ცდილობს კლიენტის გარეგნობას შეუხამოს მოდა და ფასონი. უყვარს, როცა კაბა ნახატის სტილშია და ქსოვილიც ტანზე გაცილებით ძვირფასი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ბევრი კარგი კაბა შექმნა მისმა გემოვნებამ და მარჯვენამ.

ამ ორი წლის წინათ ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში მოწყობილ მკერავთა ნამუშევრების გამოფენაზე, სადაც შეფასება ეძლეოდა ფასონს, გემოვნებას და შეკერილობას, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 5 მოდების ატელიეს მთავარმა გამომჭრელმა სოფიო ქავთარაძემ პირველი ადგილი მოიპოვა. წარმოდგენილი ჰქონდა სამი ნამუშევარი: კაბა, კაბა-კოსტუმი და ერთიც საორსულო კაბა. 1958 წელს საქართველოს მოდელების სახლში გამართულ გამოფენაზე ქავთარაძის „ახალგაზრდულმა კაბამ“ პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია მიიღო.

ქალმა მიაკითხა დაკვეთილ ქუდს...

აფხაზეთისა და გორის დრამატული თეატრების ყოფილმა მსახიობმა ნინო აგლაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ ავადმყოფობის გამო მიატოვა სცენა. ბევრი ფიქრის შემდეგ პროფესიად ქუდების კერვა აირჩია. მუშაობა დაიწყო რუსთავში, შემდეგ თბილისში გადმოვიდა.

იქნებ შეგინიშნავთ: ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, სასტუმრო „აფხაზეთის“ მოპირდაპირე მხარეს, ყოფაცხოვრების მომსახურეობის № 8 კომბინატის ვიტრინაში ქალთა შესანიშნავი ქუდებია გამოფენილი. მექუდის ნახვას თუ მოისურვებთ და შიგ შეხვალთ, გულს გატკენთ სახელოსნოს მოუწყობლობა და სივიწროვე. ერთიმეორეზე უფრო წარმტაცი ფერების შესანიშნავი მოყვანილობის ქუდები ერთადერთ მაგიდაზეა დაზვინული. მკერავი კუთხეშია მიყუჟული და ისე მუშაობს.

ნინო აგლაძე

ნინო აგლაძის მიერ შექმნილი ქუდი გემოვნებიანია და სადა. მთელ თავის შესაძლებლობას ახმარს ოსტატი, რომ მისმა ნახელავმა ადამიანი ერთიორად გაალამაზოს, ელეგანტი და დახვეწილი გამოაჩინოს.

— ამ ბოლო წლებში ჩვენი დედაქალაქის ქალებმა, განსაკუთრებით ქალიშვილებმა ჩვევად შემოიღეს ზამთარ-ზაფხულ უქუდოდ ან წაჭერილი მოსახვევებით სიარული, — ამბობს ნინო. — გემოვნებით ჩაცმულ ქალს კი ქუჩაში ასე გამოსვლა არ შეშვენის. ქუდი ხომ განსაკუთრებით ალამაზებს ქალს, მომხიბლავ, თანამედროვე სილუეტს ქმნის. მითუმეტეს, ახლა, როცა საქუდე მასალის ასეთი მრავალფეროვნებაა, როცა

პროკოფიევა

ანიკო ალადაშვილი

ვალიდა ცხოვრებაშვილი

ასე მოდაშია არა მარტო ფეტრის, არამედ ყოველგვარი ქსოვილისა და სხვადასხვა იმიტაციური მასალის ქუდები, რაც უდიდეს შესაძლებლობას იძლევა მათი ნაირფეროვნებისათვის.

ქალი საპარიკმახეროში...

რუსთაველის პროსპექტზე, № 1 საყოფაცხოვრებო კომბინატის ქალთა სალონში ხშირად მოისმენთ: ფენიას ველოდები... ალბათ დღეს ვერ მოვხვდები... ანიკოსთანაც ბევრნი არიან...

ამ სალონში საკმარისი კლიენტები ყველა ხელოსანს ჰყავს, მაგრამ ფენიას და ანიკოს ხომ ამოსუნთქვისთვისაც არ სცალიათ...

ყველა დარგს ყავს თავისი ჯარისკაცები და გენერლები. ძნელია ქალაქში განთქმული პარიკმახერის სახელი და კლიენტთა საერთო აღიარება მოიპოვო. ეს აღიარება აუცილებლად მოაქვს ნიჭსა და წლების მანძილზე ენთუზიაზმით მუშაობას. ამ ორიოდე წლის წინათ, ჩვენს დედაქალაქში გამართულ პარიკმახერთა საქალაქო შეჯიბრებაზე, მრავალ გამარჯვებულთა შორის, ფენია პროკოფიევას ქალთა თმების ვარცხნილობას პირველი ადგილი მიაკუთვნეს.

1941 წლის მძიმე დღეებში ბელორუსიიდან გადმოხვეწილმა ქალმა, საქართველოში ჰპოვა თავშესაფარი. ჯერ თბილისის ბაქტეროლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ ქალთა საპარიკმახეროში გადავიდა უმცროს პარიკმახერად. ახლა ფენია პროკოფიევა საპარიკმახერო საქმის დამსახურებული ოსტატია და ქალის თმის საუკეთესო გამლამაზებლად ითვლება. აკეთებს როგორც ცხელ, ისე ცივ პერმანენტს. ქიმიურ (დენში ჩაურთველ) პერმანენტს კი უფრო ურჩევს კლიენტებს. ასეთი ვარცხნილობა ბუნებრივს გავს და ლამაზად ლაგდება ხაზები. თუ თმა ნაზია და ამავე დროს შეღებილიც, ფენია მას დენში არ გაატარებს. ამისათვის საპარიკმახეროში დაინერგა ახალი მეთოდი, ხუთწუთიანი პერმანენტი.

ამ წამოწყებას პირველად ანიკო ალადაშვილმა აუბა მხარი. დიდი ხანი როდია, რაც ის აქ მოვიდა. მუყაითი შრომით კარგი ხელოსნის სახელი დაიმკვიდრა და მალე რიგითმა პარიკმახერმა მესამე ხარისხის ხელოსნის წოდება მიიღო.

ქალი მანიკურს იკეთებს...

ლამაზად თმადავარცხნილი ქალი დარბაზს ტოვებს და მეზობელ ოთახში გადადის...

მანიკურის სალონი. პატარა მაგიდებთან დახრილი თავები... როგორც საერთოდ ხდება, პირველ ხანებში ჟენია აკოპოვასაც უჭირდა ფრჩხილზე კანის დაუზიანებლად მოჭრა, ფერთა შერჩევა, არც ხელი ემორჩილებოდა ისე. მერე თანდათან მიეჩვია. მას ცვლაში შეუძლია ოცი და მეტი მანიკურის გაკეთება, ფერების მოდის მიხედვით შეხამება, ფრჩხილის ზომაზე დაყენება. ჟენია აკოპოვა თავისი ცვლის ხელოსანთა ბრიგადირია და მისი ბრიგადის წევრები გეგმას ხშირად გადაჭარბებით ასრულებენ.

სალონში ვეტერანი მაინც მანია ოგანეზოვაა. თითქმის სამი ათეული წელია, რაც მესამე ხარისხის ხელოსნის წოდება აქვს. ის ამ დარგის პედაგოგადაც ითვლება, მანიკურის ხელობის შემსწავლელ კურსებზე მისაღები გამოცდების კომისიის წევრია. მემანიკურე ქალთა უმრავლესობა მისი გაზრდილია.

თამარ ნოზაძე არ არის ვეტერანი, მაგრამ მასთან მოხვედრა არც ისე ადვილი საქმეა. კომბინატის ვესტიბიულში, სავარძლებზე ჩამომსხდარი ქალიშვილებიდან ბევრი „თამრიკოს ელოდება“

ქალი ექიმ-კოსმეტოლოგთანაა...

„კოსმეტიკა“ ბერძნული სიტყვაა, ქართულად „გამშვენიერებას“ ნიშნავს. მინიშნებული გამოთქმაა! ყველა ასაკის ქალი ნატრულობს მშვენიერი იყოს...

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გაიხსნა საექიმო-კოსმეტიკური სამკურნალო. მისმა დირექტორმა — ექიმმა-კოსმეტოლოგმა ვალიდა ცხოვრებაშვილმა გვითხრა:

— კანი ადამიანის ჯანმრთელობის სარკეა. მისი მკურნალობის დაწყებამდე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ორგანიზმის გამორკვევა და დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზის მოსპობა. მხოლოდ ასეთი წესით ჩატარებული მკურნალობის შედეგად შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგს. ამ პროფილით წარმოებს ახალი სამკურნალო დაწესებულების მუშაობა, სადაც ავადმყოფებს ემსახურებიან კვალიფიციური ექიმი-კოსმეტოლოგები და ექთნები. კონსულტაციას უწევენ პროფესორები და გამოცდილი სპეციალისტები.

ჩვენი ქალების უმრავლესობა სხვადასხვა საწარმოებში მუშაობს: მშენებლობაზე, ფაბრიკა-ქარხნებში, ქიმიურ ლაბორატორიებში. მათ თავიდან უნდა აიცილონ ჭუჭყი, მტვერი და მაღალი ტემპერატურის მავნე ზეგავლენა. ამისათვის საჭიროა სისტემატურად შეამოწმონ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობა და განსაკუთრებით მოუარონ კანს, თმას და ხელებს.

ახლა ქალებს მეტი საშუალება ექნებათ, უფრო კარგად მოუარონ თავს და თავიდან აიცილონ ნაადრევი სიბერე...

ჟენია აკოპოვა

მანია ოგანეზოვა

ლამაზი ქალის კვალმა მიგვიყვანა საშა ახვლედიანის ატელიეში, ნინო აგლაძის სახელოსნოში, ქალთა საპარიკმახეროში, მანიკურის სალონში, ახალ კოსმეტიკურ დაწესებულებაში.

ვნახეთ ყველა ისინი, ვინც ამშვენიერებს ჩვენს ყოფას, ვინც ჩვენ გვალამაზებს...

და ერთხელ კიდევ გაგვახსენდა დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის სიტყვები „ადამიანში ყველაფერი უნდა იყოს ლამაზი: გარეგნობა, ჩაცმულობა, სული და აზრები“...

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უკვდავების წყალი"

გრძელ, ვიწრო დერეფნებსა და ფართო, მზით სავსე ვესტიბიულებში ისეთი სიჩუმე და სიცარიელეა, იფიქრებთ ეს უზარმაზარი შენობა მის ბინადართ სამუდამოდ მიუტოვებიათ და სადღაც გადაბარგებულანო. მაგრამ ნაჩქარევი დასკვნა ყოველთვის ატყუებს კაცს: გვერდიგვერდ ჩამწკრივებული ოთახებიდან, რომელიც ნენებავთ შეაღეთ; ახლა წყნარი საათია და სახლის ბინადარნიც ზოგი ნებით, ზოგიც იძულებით თავიანთ საწოლებში ისვენებენ...

1950 წლის ივლისში წყალტუბოს კლინიკური სანატორიუმის ბაზაზე გაიხსნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი 75 საწოლით.

ეს იყო დიდი მიღწევა; მსოფლიოში აღიარებულ და სახელგანთქმულ წყალტუბოს წყლებს ნამდვილად ესაჭიროებოდა მეცნიერთა გამუდმებული კვლევა-ძიება.

დიდი და გრძელი ისტორია აქვს წყალტუბოს... გაზაფხულდებოდა თუ არა, ახლომახლო რაიონებიდან დაიძვრებოდა ხალხი წყალტუბოსაკენ. მოდიოდნენ ფეხით, ურმით, მოჰყავდათ ავადმყოფები საკაცით, მოდიოდნენ გულში იმედით, რომ ეს ღმერთისა თუ ბუნების სასწაულით მოვლენილი წყალი მათ სენისაგან განკურნავდა.

ბევრს უმართლებდა; ფეხზე დგებოდნენ დავრდომილნი და სახლისკენ მიმავალნი შიშნარევი მოწიწებით დასცქეროდნენ ნიადაგიდან ბუყბუყით ამომავალ წყალს, რომლის ზედაპირსაც სქელი მოთეთრო ორთქლი ფარავდა. წყალტუბოსთანა წყალმა ათქმევინა ალბათ ხალხს „უკვდავების წყლის" თქმულება.

ჩვენი საუკუნის დამდეგიდან წყალტუბოს პოპულარობა უფრო ფართო და დიდი გახდა. იმ ადგილას, სადაც წყალი ამოდიოდა, ხალხმა გადახურულების გამართვა დაიწყო. მოგეხსენებათ წყალტუბოს წადგმული წვიმები, თუ მოხსნა პირი... ჰოდა, უამინდობის დროსაც იჯდა ხალხი ჯგროდ ბინძურ, ტალახიან წყალში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კი წყალტუბო მთავრობისა და მეცნიერების გამუდმებული საზრუნავი გახდა. ოთხი ათეული წელი სწორედ რომ ცოტაა იმისათვის, რაც აქ გაკეთდა. იგი ახლა საუკუნეობით ნაშენ ევროპულ ტურისტულ ქალაქს წააგავს თავისი უზარმაზარი, შესანიშნავი შენობებით, მწვანე ნარგავთა სიუხვითა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჭრელი საზოგადოებით. ადამიანები ჩამოდიან მაგადანიდან და ჩიტიდან, არხანგელსკიდან და მურმანსკიდან, ყირგიზეთიდან და ტაჯიკეთის მცხუნვარე ველებიდან, ჩამოდიან და რაკი ერთხელ წყალტუბოს იგემებენ, მერე მისი სისტემატური სტუმრები ხდებიან.

სწორედ ასეთმა პოპულარობამ, მინერალური წყლების საოცარმა სამკურნალო თვისებებმა განაპირობა წყალტუბოში კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის გახსნა.

ფილიალის შენობა მომაღლო ადგილზეა აშენებული, მაგრამ ასაკოვან, მაღალ ხეებში ისეა ჩაფლული, რომ სანამ ახლოს არ მიხვალ, ვერ გაარჩევ.

დღეისათვის ფილიალში 100 საწოლია ოთხ კლინიკურ განყოფილებაზე. ეს განყოფილებებია: თერაპიული, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური და ბავშვთა. მუშაობს უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები და კაბინეტები: ბიოქიმიური, ჰორმონალური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკური დიაგნოსტიკის, რადიოლოგიური და სხვა.

ფილიალის კოლექტივმა უკვე დაამუშავა ასობით სამეცნიერო-კვლევითი შრომა, რომელთა საფუძველზეც დადგინდა და დაზუსტდა წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო ჩვენებანი და უკუჩვენებანი მთელ რიგ დაავადებათა დროს. დადგინდა კომპლექსური მკურნალობის მეთოდები, რაც გამოიხატება წყლის პროცედურების პარალელურად ფიზიკო-თერაპიულ, სამკურნალო ფიზკულტურის და მედიკამენტური საშუალებებით მკურნალობაში.

ფილიალს ოცამდე მედმუშაკი ემსახურება, მათ შორის 7 მეცნიერების კანდიდატია. უახლოეს პერიოდში კიდევ 6 კაცი დაიცავს ხარისხს. მუშაობის 14 წლის მანძილზე 5 სადოქტორო შრომა დამუშავდა.

ფილიალი დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს წყალტუბოში მომუშავე ექიმებს კონსულტაციების, სემინარების და ლექციების სახით.

ფიზიკო-ქიმიური და რადიოლოგიური ლაბორატორია კლინიკურ განყოფილებებთან ერთად ამუშავებს მეტად საინტერესო პრობლემატურ საკითხს, წყალტუბოს მინერალური წყლების ღამის დებიტის გამოყენების შესახებ, რაც ერთიორად გაზრდის გამტარებლობას.

კურორტი წყალტუბო თავისი პროფილით ძირითადად განკუთვნილია ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებათა სამკურნალოდ, თუმცა, არანაკლებ სამკურნალო ეფექტიურობით ხასიათდება პერიფერიული ნერვული სისტემის, გულსისხლძარღვთა და გინეკოლოგიური დაავადებებისას. აქ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გულსისხლძარღვთა დაავადებები. იყო დრო, როცა ბევრს, მათ შორის ზოგიერთ ექიმსაც, მტკიცედ სწამდა, რომ წყალტუბოში არ შეიძლებოდა ემკურნალათ გულით დაავადებულთ. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, ფილიალის მეცნიერი მუშაკები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წყალტუბოს მინერალური წყლები წარმატებით კურნავს გულსისხლძარღვთა მთელ რიგ დაავადებებს. გამართლდა პროფესორ ვირსალაძის მიერ ამ 30 წლის წინ ნათქვამი სიტყვები: უახლოეს

პერიოდში წყალტუბო ერთერთ კარდიოლოგიურ კურორტად გადაიქცევაო.

მაღალი ეფექტი აღინიშნება გულის მანკების, კარდიოსკლეროზის, ენდარტერიტების, ტრომბოფლებიტების და ჰიპერტონიული დაავადების დაწყებითი ფორმების დროსაც.

როგორც ცნობილია, წყალტუბო განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა სახსრების რევმატიზმის და ინფექციური ანთებების, სპონდილოზების (მარილების დალექვა), რადიკულიტების, უნაყოფობის ზოგიერთი ფორმების და კლიმაქსის დროს.

ფილიალის გინეკოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ კარტოზია. ის ახლა მუშაობს სადოქტორო თემაზე: „ქალთა კლიმაქსი". კაბინეტის კედლებზე გაკრული დიაგრამები, ცხრილები და სხვა მაჩვენებლები ცხადად მეტყველებენ იმ დიდ და საპატიო საქმეზე, რომელსაც თენგიზ კარტოზია ემსახურება.

„კლიმაქსი არ არის სიბერე", — ამხნევებს იგი ავადმყოფებს; ექიმის დარწმუნებული კილოთი ნათქვამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისათვის. მით უმეტეს, კლიმაქსის დროს ზედმეტად მგრძნობიარე ხდება ნერვული სისტემა და ფრთხილად, ტაქტიანად ნათქვამ ექიმის სიტყვას შეუძლია ეფექტური შედეგი გამოიღოს.

ფილიალის კოლექტივი მთელი გატაცებითა და ენერგიით ეკიდება საყვარელ საქმეს და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს რაიონში.

ამ კოლექტივის ორ ღირსეულ წევრზე გვინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. ესენი არიან მარგალიტა კინწურაშვილი და რუზანა ამირაგოვა.

მარგალიტა დაარსების დღიდან ფილიალში მუშაობს და თავისი კეთილსინდისიერი შრომით მუდამ გამოირჩევა. მას ჯერ კიდევ ომის წლებში, ჰოსპიტალში მუშაობისას, გაუჩნდა აზრი საფუძვლიანად შეესწავლა და დაემუშავებინა თემა: „წყალტუბოს აბაზანების სამკურნალო ჩვენება ზურგის ტვინის ინფექციური და ტრავმული დაზიანების დროს". ეს საკითხი მთელი რიგი წლების განმავლობაში სადაო იყო, და აი 14 წლის მანძილზე მან უამრავი მასალა დააგროვა, დაამუშავა, დახვეწა და დღეს თუ ხვალ თავისი ნაშრომით გაბედულად წარსდგება ფართო აუდიტორიის წინაშე.

რუზანა ამირაგოვა სახელგანთქმული ქუთაისელი ნევროპათოლოგისა და ფსიქიატრის ერან ამირაგოვის ქალიშვილი გახლავთ. იგი ღირსეულად აგრძელებს მამის საქმეს. ძირითადად რუზანა წყალტუბოს წყლების პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე მოქმედებას ირკვევს. აქვს შრომები პლექსიტებზე. ყოველ წელს მისთვის ახალახალი წარმატებები მოაქვს. პაციენტები სახლში დაბრუნების შემდეგაც არ ივიწყებენ გულისხმიერ მკურნალს და წერილობით უთვლიან მადლობას.

ფილიალში მეცნიერული მუშაობა მთელი ძალითაა გაჩაღებული. წყალტუბოს მინერალურ წყლებს ჯერ კიდევ დიდი შესწავლა და დამუშავება სჭირდება. გვჯერა, რომ ეს ნიჭიერი კოლექტივი ბოლომდე პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ნანული ცაგარეიშვილი

ლილი გვერდაძე

როხოდის სარკმელში სწრაფად იცვლებიან ლამაზი კადრები, გუგუნებენ ლიანდაგები, ირწევიან მგზავრები, უკან რჩება ჭაღარა მთები, ხუჭუჭა ტყეები. მიჰქრის მატარებელი.

ჩუმად ეღიმება ფიქრებში წასულ მგზავრს.

ლიანდაგების გუგუნში ერთმანეთს მიჰყვებიან მოგონებები, სადღაც თითქოს მუსიკის ხმებიც დაირხა და ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გული" გაახსენა.

აგერ, ქარიშხალივით შემოიჭრა სცენაზე ჯარჯი, მაყურებელთა დარბაზი ჯერ გაინაბა, გაჩუმდა, შემდეგ მხურვალე ტაშმა იფეთქა.

ვახტანგ ჭაბუკიანის პირუტმა თავბრუ დაახვია პარტნიორებს და მაყურებლებს.

წარმატება, არნახული წარმატება! პირველი სრულყოფილი ქართული ბალეტის დაბადება!..

ყვავილებით მოფარდაგული ავანსცენა და მეგობრულად გამოწვდილი უამრავი ხელები...

გულის ტკბილი შეტოკებით იმედიანად გახედა მგზავრმა რონოდის დაორთქლილ მინებს, თავისებურად ამოიკითხა უცნაური ნახატები, თავისდაუნებურად თითიც მიაშველა წყლის წვეთებს, კურცხალივით რომ ჩამოეღვენთა ფანჯარას.

...შრომის ჯილდო. სიხარული და ბედნიერება... გაბედული ნაბიჯი გამარჯვებას მოიტანს — აი, ჩავა მოსკოვში, დაიცავს დისერტაციას და მეორე ოცნებაც ახდება: ქართული კლასიკური ბალეტის პირველი დედოფალი სწავლულიც იქნება.

ქალს ბედნიერმა ღიმილმა კვლავ დაუმშვენა სახე. შეკრთა კიდეც, ხომ არავინ შემნიშნაო. მიიხედ-მოიხედა — უცნობის ცნობისმოყვარე თვალებს წააწყდა: „ძნელი არ არისო თქვენი ცნობა!" „ჩვენც გიცანითო", — ეუბნებიან სხვა თვალები.

მალე მთელ რონოდას მოედო ლილი გვარამაძის იქ ყოფნის ამბავი. ყველას უნდოდა თვალი შეევლო ხელოვანი ქალისათვის. მოდიან, ეცნობიან, ისიც ხალისით პასუხობს შეკითხვებზე — ენაწყლიანად უამბობს: ცეკვა როგორ ასწავლა დედამ. ოთხი წლის გოგონამ, პირველად როგორ იცეკვა საზოგადოების წინაშე. მაგრამ ის აღარ თქვა, თეატრიდან დაბრუნებული თუ როგორ ჩაუჯდებოდა წიგნს და გვიანობამდე კითხულობდა. ამ ყოფაში ხშირად ჩასძინებია. დედა — ელენე ხახანაშვილი ჯერ წიგნს აართმევდა, შემდეგ კი ფრთხილად ხდიდა და ტახტზე აწვენდა.

ასე იყო მადამ პერინის სტუდიაში, საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტშიც, იურიდიულ ფაკულტეტზე რომ სწავლობდა: სქელტანიანი წიგნები და პეპელას ფრთებივით მსუბუქი „ტუნიკა", ლექციები და თავდავიწყებული ცეკვა ერთად შეირწყა და შესისხლხორცდა.

* * *

მართლაც, ბევრი რამ იყო საყურადღებო ლილი გვარამაძის მუშაობაში. ერთხელ კოტე მარჯანიშვილმა ოპერის სცენაზე ზუპეს ოპერა „ბოკაჩიო" დადგა. მაშინ ლილი პერინის სტუდიის მოსწავლე იყო.

მარჯანიშვილმა სტუდიის მოსწავლეებს ბიჭურად ჩააცვა და ერთ-ერთ სურათში კასრებზე აცეკვა.

რეპეტიციების დროს ლილი ავად გახდა. ეგონა, პრემიერაზე აღარ მაცეკვებენო და ნაღვლობდა. სპექტაკლის დღეს ლილი რეჟისორთან მივიდა. გოგონა ღელავდა და იცრემლებოდა. მარჯანიშვილმა დაამშვიდა და უთხრა: კარგი, რაკი ძალიან გინდა, იცეკვე, მხოლოდ, როცა დანარჩენები მწკრივში ჩადგებიან, მაშინ შენ კასრებს უკან დაიმალე, რადგან მწკრივში მხოლოდ 10 ბიჭუნა ეტევაო.

დიდი რეჟისორის გულთბილი მოპყრობა დიდხანს ახსოვდა პატარა ლილის.

მადამ პერინის სტუდიის დამთავრების შემდეგ, გვარამაძე ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შევიდა.

ცნობილმა მოცეკვავემ და პედაგოგმა ა. ვაგანოვამ გულთბილად მიიღო სამხრეთელი მოცეკვავე, რომელიც ხიბლავდა ჭარბი ტემპერამენტით, მშობლიური მთების სილაღით და იფნის სახრესავით მოქნილი ტანით.

სარეპეტიციო დარბაზში ღერძთან მდგარი ლილი თავგამოდებით ეუფლებოდა ვირტუოზულ ტექნიკას და იმ რომანტიკულ პოეზიას, რომლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაც შემდგომში უნდა მოექსოვა საბალეტო სპექტაკლების ქორეოგრაფიული ქარგა.

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ კოტე მარჯანიშვილს შეხვდა. მაშინ უკვე „წითელ ყაყაჩოში" ტაო-ხოას და „კუზიან კვიცში" ფასკუნჯას ცეკვავდა.

კოტე მარჯანიშვილს მოეწონა ლილი გვარამაძე. — შენ უნდა იყო ჩემი ივდითიო, — უთხრა მას ერთ-ერთი საბალეტო სპექტაკლის შემდეგ.

„სწორედ ასეთი პლასტიკური, ასეთი ნაზი და მეტყველი სხეულისაგან უნდა შევქმნა ჩემი გმირები", — ხმამაღლა ოცნებობდა მარჯანიშვილი.

და მართლაც გვარამაძის ცეკვით მოხიბლულმა მარჯანიშვილმა განიზრახა „წითელი ყაყაჩო" დრამის თეატრში დაედგა, ლილი გვარამაძეს სიტყვით უნდა შეესხა ხორცი ტაო-ხოას სახისათვის. მაგრამ კოტე მარჯანიშვილმა ვერ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება. იგი მოსკოვში მიიწვიეს „დონ-კარლოსის" დასადგმელად და იქვე გარდაიცვალა.

ლილი გვარამაძე დ. ჯავრიშვილთან მუშაობდა. ქართული ქორეოგრაფიის თავდადებული მოამაგე დ. ჯავრიშვილი კარგად გრძნობდა, რა მასალა მოხვდა ხელში. დილიდან საღამომდე კვეთავდა, აჩუქურთმებდა, ჰქმნიდა ქართული ბალეტის მშვენებას. თუ ვაგანოვამ დახვეწა და გააფართოვა მადამ პერინის სტუდიაში გვარამაძის მიერ შეთვისებული კლასიკური ბალეტის საფუძვლები და გაამდიდრა მისი რეპერტუარი (ფასკუნჯა, ტაო-ხოა, კიტრი, ესმერალდა, მარია, ლიზა, ფერენჯი და სხვა), ჯავრიშვილმა ხალხს ძვირფას ჯილდოდ მიუძღვნა ლ. გვარამაძის ცეკვა „ქართული", „მირზაია" და „ტაშფანდურა".

ზ. ფალიაშვილის უკვდავ ოპერა „დაისში", „ქართულის" პირველივე აკორდი მსმენელს ატყვევებს, სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრის; პარტნიორის თავაზიან გამოძახებაზე გამოდის ქართულ თეთრ კაბაში გამოწყობილი პირიმზე, მკლავებს ნაზად შლის, ბაგეზე მომხიბვლელ ღიმილს დაიყრის და გასრიალდება, საოცრად,

სანეტაროდ — არცერთი ნაკვთი არ ირხევა არც სახეზე, არც სხეულზე. მთელი მისი არსება ჰარმონიულად შერწყმულია ლამაზ მელოდიას.

ლილის ნარნარი ტანი თხუთმეტი წელი ირხეოდა ქართულ სცენაზე და ეს დრო საკმარისი გახდა მაყურებლის უზადო სიყვარულის მოსაპოვებლად.

ჯერ იყო და პირველი საბჭოთა ქალის — ციალას სახის შექმნით გული გაუთბო მაყურებელს, მან უფრო დასამახსოვრებელი, უფრო ცხოველი და საინტერესო გახადა ბალეტი „მალთაყვა", შემდეგ მანიჟეს შესრულებით ალაფრთოვანა ბალეტ „მთების გულში". ორივე ქალის სახე ლილიმ დიდი კეთილშობილებით, ლირიულობით და პოეტურობით გამოჰკვეთა.

უფრო ადრე, ბალეტ „კოპელიაში" სვანილდას სათუთი სახე შექმნა. მაყურებელი განაცვიფრა ემოციით, ქორეოგრაფიული ნახაზის სუფთა და დახვეწილი შესრულებით. იყო შემთხვევა, როდესაც „ვალპურგის ღამეში" ლილი გვარამაძე და მისი პარტნიორი ვ. ლიტვინენკო თვრამეტჯერ, ოცჯერ გამოიძახა მაყურებელმა.

ესმერალდა

ციალა—„მალთაყვა".

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ ლილი გვარამაძემ სწრაფად მოიხვეჭა სახელი და საბალეტო სპექტაკლების ყველა პირველი პარტიები წარმატებით იცეკვა.

კარგად ახსოვს მაყურებელს ლერწმების ვარაყში ჩასმულ ტბაზე, მთვარის შუქზე მოცეკვავე თეთრი გედი, თავი ოდნავ რომ გვერდზე გადაუხრია, მოქნილ მკლავებს ფრთებივით არხევს. ოდეტას ადამიანური ტანჯვის გამოსახატავად გვარამაძე საბალეტო ხელოვნების ყველა ხერხს ხმარობდა, ოდილიას გულღრძო და ცეცხლოვანი ცეკვით კი ტექნიკური პასაჟების შესრულების კულმინაციას აღწევდა.

მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ არიან სპეციალისტები, ბალეტმეისტრები, ხელოვნებათმცოდნეები, მსახიობები. კათედრაზე ადის მოცეკვავე ქალი, ა. ვაგანოვას „კლასიკური ცეკვების საფუძვლების" ქართულად მთარგმნელი, „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის" და „მთაწმინდელი მოცეკვავის" წიგნების ავტორი.

და ახლა არა როკვით და შუშპრობით — ცოდნით და საოცარი მჭერმეტყველებით ერთხელ კიდევ ანცვიფრებს მოსკოვის საზოგადოებას.

მეორე დღეს, თბილისში, სასწრაფო დეპეშას იღებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლილი გვარამაძემ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ცეკვის მორფოლოგიის წარმოშობის საკითხისათვის".

* * *

საღამოჟამს, თითქმის ყოველ დღე, ჭავჭავაძის ქუჩაზე შეხვდებით სწარაფად მიმავალ ლილის. მას მოწაფეები მიეღლიან მხატვრული თვითშემოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, რკინიგზის ხალხური შემოქმედების სახლში. ლილი გვარამაძე მათ კლასიკური ბალეტის საფუძვლებს ასწავლის.

დილით ღვაწლმოსილი შემოქმედი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს... კვლავ აგუგუნდებიან ლიანდაგები, კვლავ მოსკოვისაკენ გაიქროლებს მატარებელი და გვჯერა, რომ ლილი გვარამაძე ისევ გამარჯვებული დაგვიბრუნდება.

ნუნუ მესხი

ეროვნული ბიბ. სახელმწ.

პატარებისათვის

ლიდა სტვილია

ბებრის ბალი

ჩვენს თეთრ ბალს რომ კუნწულებით
სავსე ჰქონდა ყველა ტოტი,
რასაც შევსწვდით, ჩამოვკრიფეთ,
რაც კი შერჩა, ჩიტი კორტნის.

ბებო ამბობს: აბა, როგორ,
ნუ ინანებ, გოგო დალი:
ჩიტმაც უნდა იგემოსო
წლის ახალი მოსავალი.

ჩიტის ენა

მანქანა ან თოჯინა,
რომ წავართვა სხვა ბავშვს,
დედამ მითხრა: იმ წუთას
ჩიტი მეტყვის ამბავს.

ლაპარაკი არ იცის, —
იცის მხოლოდ სტვენა;
როგორ იგებს ნეტავი
დედა ჩიტის ენას?

ბებომ მითხრა: შვილიკო,
ლაპარაკობს ჩიტი...
შენც ისწავლი მის ენას,
რომ გახდები დიდი

ნორა ედიშერაშვილი

სანადირო

გიას მოუტანეს
სანადირო თოფი,
გაასინჯა ძმობილს,
გაასინჯა დობილს.

ბაღში ქურდობს თურმე
ზღარბი დიდზე დიდი,
ჰოდა, გიაც ზღარბზე
სანადიროდ მიდის...

ბებრის წამალი

პატარა მანანას დიდედა თავის წამალს ეძახდა. გაკვირვებულმა მანანამ ერთხელ ჰკითხა:

— დიდედა, „წამალს" რად მეძახი, მე ხომ ბავშვი ვარ? — დიდედამ მანანა კალთაში ჩაისვა, შუბლზე აკოცა და უთხრა:

— როდესაც ავად ვარ, შენი დანახვა მარჩენს, წამალი აღარ მჭირდებაო.

პუტია

ერთხელ, ერთმა ბუტია გოგომ სადილის ჭამაზე უარი თქვა, — მარტო ხილს შევჭამო.

— ხილს ის შეჭამს, ვინც ისადილებსო, — გამოაცხადა დედამ.

მართალია, ბუტიას ხილი ძალიან უნდოდა, მაგრამ სადილზე მაინც უარი განაცხადა.

და-ძმებმა სადილი დაამთავრეს, ხილით პირი ჩაიტკბარუნეს და სათამაშოდ გაიქცნენ.

ბუტია კი აღარც სათამაშოდ გაუშვეს.

კარგა მოსაღამოვდა. ბავშვებს მოშივნოდათ და ხმაურით ამოცვივდნენ. დედამ გემრიელი ვახშამი დაახვედრა და ბუტიას კერძიც მათ გადაუღო.

— ნახეთ, შვილებო, ბუტიას კერძი რა გემრიელიაო!

ბავშვებმა კარგად ივახშმეს, თან გაიძახოდნენ:

— უჰ, ბუტიას კერძი მართლა რა გემრიელი ყოფილაო.

ბუტიას შიმშილით გული მისდიოდა, ნერწყვებს ყლაპავდა და ფიქრობდა:

— ნეტავ ერთხელ კიდევ წამოსცდეს ვინმეს საჭმელი ჭამეო!

მაგრამ ბუტია აღარავის ახსოვდა.

ითმინა, ითმინა ბუტიამ და დიდედას ჩუმად უთხრა:

— სულ ცოტა კერძი მაინც აღარ დარჩა?

დიდედამ ქვაბში ჩაიხედა, ქვაბი ცარიელი დაუხვდა. ბუტიასთვის კერძის შენახვა აღარავის უფიქრია.

დაღონდა ბუტია.

— აი, პური ყოფილა ცოტა, ეს ჭამეო — შეებრალა დიდედას. ბუტიამ გამოართვა ცარიელი პური და გემრიელად მიირთვა.

ამ დღიდან ბუტიას აღარაფერი დაუწუნებია.

ნატო ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა უცნობის ოჯახში შედიხართ, პირველ რიგში ნივთებს ათვალიერებთ. უსულო საგნები ზოგჯერ დიდ შემწეობას გაგიწევენ. მათი დახმარებით ხშირად შეუცდომლად გამოიცნობთ პატრონის სულიერ სამყაროს, გემოვნებას, მდგომარეობას.

ვრცელ სასტუმრო ოთახში სითბო და სიმყუდროვეა. ყოველი ნივთი შეთვისებია გარემოს, საკუთარი ადგილი დაუმკვიდრებია. ირგვლივ წესრიგია, დიასახლისის მზრუნველი ხელის ნაკვალევი.

თუ სტუმარი თავისუფლად გრძნობს თავს უცხო ოჯახში, ეს პირველ რიგში დიასახლისის დამსახურებაა, მისი მადლიანი ტაქტის, ჭკუისა და გამჭრიახობის ნიშანია. ასეთ გარემოში გულითადი საუბარია მოსალოდნელი.

—თქვენ გაინტერესებთ ჩემი ცხოვრება,—ღიმილით გვეკითხება ფატი და განაგრძობს, — აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ქალი ვარ. ქალის ცხოვრებაში კი არ არსებობს იმაზე უბედნიერესი წუთი, ვიდრე დედად გახდომა. ამ სიტყვებმა თითქოს ერთბაშად შეარხია სათუთ მოგონებათა სიმები, საოცარი სხივი შემატა პატარა ტანის, ხანდაზმულ, მაგრამ ჭარმაგ ქალს, დედის ეშხი და სითბო ჩაუყენა შავ თვალ-წარბში.

— ჩემი კოტიკო, ჩემი ზეინაბი! — ამბობს დედა ისე, თითქოს ისინი კვლავ ჩვილები იყვნენ. კოტიკო უკვე თვითონ არის მშობელი, პატარა ფატუნას მამა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია. ზეინაბი კი ექიმია-მკურნალი, პაპის პროფესია აურჩევია.

ოჯახში ფატი გოკიელი უბადლო დედა და მეუღლეა. მაგრამ საზოგადოების წინაშე იგი მხოლოდ ამ მხრივ როდია პირნათელი. ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ქალთა უმრავლესობა, მასაც ოჯახის გარდა სხვა უფრო ფართო, საზოგადოებრივი ასპარეზი გააჩნია.

ადამიანის ცხოვრებაში შეუჩნევლად გაილალება ხოლმე დღეები, წლები... და როცა ერთი წუთით შეყოვნდები, განვლილ გზას თვალს გადაავლებ, გაოცდები, გაიკვირვებ—რა დრო გასულა?! მოგონებები გაინასკვებიან, კრიალოსანივით ჩამწკრივდებიან დროჟამის გაბმულაზე.

მოგონებებს ფართო გასაქანი მისცემია ახლა. დოცენტ ფატი გოკიელს ამას წინათ თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში საზოგადოებრიობამ დაბადების 60 წელი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი გადაუხადა. ამ დღის სამახსოვროა მრგვალ მაგიდაზე დალაგებული საჩუქრები.

მოგონებები ბავშვობის ხანასაც სწვდებიან...

კარგი ოჯახი ჰქონდათ გოკიელებს. ფატის მამა გაბრიელ გოკიელი ქუთაისში ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო. მის ოჯახში თავს იყრიდნენ მაშინდელი გამოჩენილი ადამიანები: კიტა აბაშიძე, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ოცხელი. გაბრიელი ქუთაისის თეატრის მუდმივი ექიმი იყო და მსახიობებთან გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. დიდად უყვარდა ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ნუცა ჩხეიძე, ვანო სარაჯიშვილი. ყველაზე სასიქადულო და საამაყო მეგობრად ოჯახში აკაკი წერეთელი ითვლებოდა.

ეს დღესაც იგრძნობა. ოთახში პოეტის უნიკალური პორტრეტებია. მამის ოთახიდან გადმოინაცვლა ფატისთან იმ დიდმა ფოტოსურათმა, რომელზეც მოხუც აკაკის ვხედავთ. პოეტი სავარძელში ზის, მისი შთაგონებული მზერა თეთრ სამოსში გამოწყობილ ფერიასავით გოგონაზე შეჩერებულა, გოგონა ფატი გოკიელია. მგოსანს მეგობრის ასულთან მოუსურვებია იუბილეს დღეებში სამახსოვრო სურათის გადაღება, ფატიმ ხომ მას ლექსი წაუკითხა და პოეტთან ერთად საზოგადოების აღფრთოვანებაც დაიმსახურა.

ოთახში შემოდის ფატის მეუღლე, ჩვენი თეატრის თვალსაჩინო მოღვაწე დოდო ანთაძე. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება, რომ თეატრის სიყვარული, მისი ყოველი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გულთან ახლოს მიტანა, ქართული სცენისათვის გაწეული ამაგი, იმ დიდი მეგობრობის შედეგია, რომელიც აკავშირებს ფატის თავის მეუღლესთან. ამაზე მეტყველებს ფ. გოკიელის თარგმნილი პიესებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს იდგმებოდა ჩვენს თეატრებში: ესენია ფრ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი", ტურისა და შეინინის „დაწუნებული საქმრო", „ჭიდილი", შკვარკინის „სხვისი ბავშვი", ტურის „სახლი შესახვევში". ფატის მიერ თარგმნილი პიესებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მოლიერის „ძალად ექიმი", გორკის დრამა „მტრები", ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები".

ფატი გოკიელს მრავალმხრივი განათლება აქვს მიღებული. წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე სწავლობდა, დაამთავრა სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის განხრით), ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტები. მას ტოვებენ ასპირანტურაში სამართლის თეორიისა და სამოქალაქო სამართლის კათედრაზე. შემდგომ წლებში ფატი გოკიელი პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

1935-1937 წლებში ფ. გოკიელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში კითხულობს ლექციებს დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიიდან, ხოლო შემდეგ, 1952 წლამდე, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსს. სადაც არ უნდა იყოს ფატი გოკიელი, ყველგან დიდი ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

16 წლის წინ დაიცვა მან დისერტაცია თემაზე „აღორძინების ეპოქის ფრანგული სოციალურ-პატრიოტული ლირიკა", რომელმაც ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოუპოვა.

ბოლო წლებში ამაგდარი პედაგოგი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსს. ფატი გოკიელი არის 20-მდე მეცნიერული შრომის ავტორი. მხატვრული ლიტერატურიდან საყურადღებოა მისი თარგმანები შტ. ცვაიგის „ლეგენდა მესამე მტრედზე" და ცნობილი ფრანგი მწერალი ქალის ელზა ტრიოლეს რომანი „ვარდები ნისიად".

მოგონებები კრიალოსანივით იკვანძებიან დროჟამის გაბმულაზე. ჩამოიმარცვლა ერთი მათგანიც—იუბილეს დღეების მღელვარება და სიხარული.

ნორა ნორაკიძე

ქალაქ ქალიანი დედებისთვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ადამიანი. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებმა იცხოვრონ ლაღად და ბედნიერად.

უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი საბჭოთა კავშირში დედათა და ბავშვთა დაცვის ყოველმხრივ გაძლიერების საქმეს. ამის ერთერთი გამოხატულებაა ამ ოცი წლის წინათ, 1944 წლის 8 ივლისს გამოქვეყნებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების დაწესების და „სახელოვანი დედის“ ორდენის და „დედობის მედლის“ შემოღების შესახებ“.

კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო დახმარებას იმ მრავალშვილიანი დედებისათვის, რომლებმაც შობეს და აღზარდეს სამი და მეტი შვილი. მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარება ეძლევათ ერთ და მეტ ბავშვზე. დედა, რომელმაც შობა და პატიოსნად აღზარდა 5 შვილი, ჯილდოვდება II ხარისხის „დედობის მედლით“. 6 შვილის დედა ჯილდოვდება I ხარისხის „დედობის მედლით“. დედა, რომელმაც შობა და აღზარდა 7 შვილი ჯილდოვდება „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით, 8 შვილის დედა — „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით. 9 შვილის დედა იღებს „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენს. იმ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 10 და მეტი შვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით ენიჭებათ „გმირი დედის“ უმაღლესი საპატიო წოდება, გადაეცემათ ოქროს ვარსკვლავი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ეკუთვნით მშრომელებს და ყველაფერი კეთდება მათს საკეთილდღეოდ, არის შესაძლებელი ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარება, რომლებიც გათვალისწინებულია ზემოთდასახელებული ბრძანებულებით.

მეფისდროინდელ რუსეთში საექიმო დახმარების გარეშე მშობიარობდა ქალების 95 პროცენტი. 1913 წელს არსებობდა მხოლოდ 19 მუდმივი საბავშვო ბაგა 550 ბავშვისთვის. დღეს მარტო მახარაძის რაიონში მოქმედებს 21 მუდმივი საბავშვო ბაგა 460 ბავშვით და 26 ბაღი 898 ბავშვით. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით ყოველწლიურად ეწყობა 123 სეზონური ბაგა — 4842 ბავშვისათვის.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოსვლიდან დღემდე დიდი მუშაობაა გაწეული დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერებისა და მრავალშვილიანი დედების წახალისებისათვის ჩვენს რესპუბლიკაშიც. გაიზარდა საშუალო და დაწყებითი სკოლების რიცხვი, აშენდა ახალი სამშობიარო სახლები და საბავშვო დაწესებულებები. ყოველწლიურად ათასობით ბავშვი მკურნალობს და იკაჟებს სხეულს რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე. ზაფხულობით დიდი რაოდენობით იხსნება პიონერთა ბანაკები და სხვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დაჯილდოებულია 150.990 მრავალშვილიანი დედა, რომელთაც შობეს და აღზარდეს 5 და მეტი შვილი. 1588 დედას მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოებაში, ხოლო თავიანთ შვილებზე ზრუნვა კი მიანდონ საბავშვო დაწესებულებების კვალიფიციურ აღმზრდელთა მრავალრიცხოვან არმიას.

მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის მცხოვრები, გმირი დედა მარო ბესარიონის ასული ნაცვალაძე, რომელმაც გაზარდა და დაალაგა 10 შვილი, კეთილსინდისიერად მუშაობს კოლმეურნეობაში. მარო ნაცვალაძე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურობს, არის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ ქალთა საბჭოს წევრი.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის კოლმეურნეობის წევრია შურა გოგოსია. მას მიღებული აქვს „სახელოვანი დედის“ I, II და III ხარისხის ორდენები და I ხარისხის „დედობის მედალი“. ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს საბჭოთა მეურნეობის მუშამ, გმირმა დედამ ფატმა მამედმა წელს ვალდებულება იკისრა, რომ ნახევარ ჰექტარ მიწის ფართობზე მოიყვანოს 10 ტონა კარტოფილი. ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აქვთ ნაკისრი მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავს, 9 შვილის დედას ა. დოლიძეს, ბოლნისის რაიონის სოფელ საფარლოს კოლმეურნეობის მწველავს, 10 შვილის გმირ დედას ი. რაგიმოვას და სხვებს.

იმ დიდი ზრუნვის საპასუხოდ, რასაც საბჭოთა მთავრობა იჩენს მრავალშვილიანი დედებისადმი, ჩვენი რესპუბლიკის გმირი დედები მთელი მონდომებით შრომობენ, ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების შენების საქმეში.

ჯ. ცაგარეიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგე.

ევროპის საფარში

მუსიკა, ხელოვნების ერთერთი ულამაზესი სახეობა, ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

მოდით, ახლა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ სამყაროს, ზოგადად მაინც გავეცნოთ მის მთავარ ჟანრებს, იმ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთაგანაც მუსიკა შესდგება.

მუსიკალური ხელოვნების ორი ძირითადი ჟანრი არსებობს: ვოკალური და ინსტრუმენტული. პირველი მათგანი დაკავშირებულია ადამიანის ხმასთან და მას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც სიმღერით სრულდება. იტალიური სიტყვა „ვოკაც" ხომ ხმას ნიშნავს. ინსტრუმენტული მუსიკა, როგორც თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, რომელიმე საკრავთან, ინსტრუმენტთან არის დაკავშირებული.

ვოკალური მუსიკის მთავარი შინაარსი მუდამ ძირითადი მელოდიით გადმოიცემა, მელოდია კი მჭიდრო კავშირშია სიტყვასთან, ტექსტთან. ამიტომაც, ვოკალური მუსიკა უფრო გასაგებია, ადვილად მისაწვდომია ფართო მსმენელისათვის, ვიდრე ინსტრუმენტული. ერთიდაიგივე მელოდია ჯერ ხმით და სიტყვებით რომ იმღეროთ, მერე კი რამე საკრავზე შეასრულოთ, პირველი ბევრად უფრო იოლი ასათვისებელი იქნება — აქ, მუსიკის გაგებაში ხომ ტექსტი, სიტყვა დაგვეხმარა.

უხსოვარ დროში, ადამიანმა დაკვრაზე ადრე სიმღერა ისწავლა. მას სურდა სიმღერაში აესახა საკუთარი გრძნობები, განცდები, გარემომცველი ცხოვრების ბევრი მოვლენა. აი, სწორედ მაშინ დაიბადა ვოკალური მუსიკის პირველი ნიმუშები. რასაკვირველია, თავდაპირველად არ არსებობდა არც ოპერა, არც რომანსი, არც ოპერეტა — ვოკალური მუსიკის უმაღლესი ჟანრები. გაჩნდა ვოკალური მუსიკის სულ მარტივი ფორმა — სიმღერა. დროთა განმავლობაში ყველა ხალხმა თავისი საკუთარი სასიმღერო ხელოვნება შექმნა, რომელშიც მისი ისტორიული წარსული, ერის ტიპიური თვისებები აისახა.

ხალხური მუსიკა, ადამიანის ყველაზე საყვარელი და პოპულარული ჟანრი, ვოკალური მუსიკის პირველი საფუძველი იყო. გესმით „მუმლი მუხასა" ან „მრავალჟამიერი", „ქართველო, ხელი ხმალს იკარ" ან „ოდოია" და თქვენს წინაშე მთელი ერი წარმოსდგება; მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის, მისი თანდაყოლილი ხალისი და მხიარული ბუნება, მისი გარჯა და შრომისმოყვარეობა.

არც ერთი საკრავი არ შეედრება ადამიანის ხმის გამომსახველობით უნარს. ამიტომაც კომპოზიტორები მუდამ ცდილობდნენ შეექმნათ მკაფიო, დასამახსოვრებელი ვოკალური მელოდიები, რომელთა საფუძველზე ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი წარმოიქმნა.

რამდენჯერ გვაქვს მოსმენილი „აბესალომ და ეთერი" და „დაისი", „ტრავიატა" და „პიკის ქალი", „აიდა" და „ევგენი ონეგინი", და, მუდამ ახლებურად აღვიქვამთ მათ მშვენიერებას.

ამიტომ, ჩვენ ეს ნაწარმოებები ისევ ერთ-ერთ ადგილზე, ოპერის ჟანრზე ვიტყვით. ოპერა ეს ის ჟანრია, სადაც ვოკალური მუსიკა ინსტრუმენტალურ მუსიკასთან ერთად ერწყმის ერთმანეთს. ოპერა ეს ის ჟანრია, სადაც ერთ-ერთ ადგილზე ინსტრუმენტალური მუსიკა ვოკ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი საოპერო კლუბი

ხასიათის, შინაარსის, განწყობის მიხედვით ოპერა სხვადასხვაგვარია: ისტორიული, პატრიოტული, ლირიკული, კომიკური, ზღაპრული, დრამატული, ყოფითი და ა. შ.

ყოველ ოპერას გარკვეული ტექსტი, შინაარსი უდევს სიუჟეტად. მაგრამ ტექსტი წინასწარ უნდა გადამუშავდეს, რომ მოსახერხებელი იქნეს სიმღერისათვის. ასეთ გადამუშავებულ ტექსტს ლიბრეტოს უწოდებენ. ასე, მაგალითად, „აბესალომ და ეთერი" ძველი ქართული ლეგენდის „ეთერიანის" მიხედვით არის დაწერილი. იგი საოპერო ლიბრეტოდ გადაამუშავა ცნობილმა ქართველმა ლიტერატორმა პეტრე მირიანაშვილმა, ვერდის „ტრავიატა" შექმნილია შვილი დიუმას ცნობილი რომანის — „ქალი კამელიებით" მიხედვით, ხოლო ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" — პუშკინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

ხანგრძლივი გზა განვლო ქართულმა საბჭოთა ოპერამ. თავიდანვე მასში ჩვენი თანამედროვეობა აისახა. მრავალი ოპერა შეიქმნა საქართველოში. მაგრამ, ყველა როდი შერჩა სცენას, მათი სუსტი მხარეების გამო. უფრო მეტიც, მრავალი წლის განმავლობაში საოპერო ჟანრი ყველაზე ჩამორჩენილი ჟანრი იყო ქართულ მუსიკაში. ეს გარემოება დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართული, მთელ საბჭოთა მუსიკალური კულტურისათვის. არა ერთხელ, და სავსებით სამართლიანად, უსაყვედურებიათ კომპოზიტორებისათვის, რომ ოპერა, ხალხისათვის ყველაზე საყვარელი ჟანრი, ჩამორჩა მსმენელის მოთხოვნილებებს. ბევრი კარგი ოპერა შეიქმნა საქართველოში, რომლებიც ნამდვილად ყურადღების ღირსია. არჩილ კერესელიძის „ბაში-აჩუკი" და შალვა მშველიძის „ამბავი ტარიელისა", ალექსანდრე ბუკიას და ვანო გოკიელის საბავშვო ოპერები — „დაუპატიჟებელი სტუმრები" და „წითელქუდა" და დავით თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი".

ამ უკანასკნელ წლებში შეიქმნა ორი შესანიშნავი ოპერა: შალვა მშველიძის მონუმენტურ-დრამატული „დიდოსტატის მარჯვენა" (კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით) და ოთარ თაქთაქიშვილის ლირიკულ-ფსიქოლოგიური „მინდია" (ვაჟას მიხედვით). მართალია, არც ერთი მათგანი არ არის თანამედროვე თემაზე დაწერილი, მაგრამ თავისი იდეურ-ესთეტიკური პრინციპებით, ახალი გამომსახველი ხერხებით, მუსიკალური ენით და წარსულის თანადროული გაგებით და აღქმით ეს ოპერები სწორედ დღევანდელ დღეს ეხმაურებიან. მათი გმირები ხალხის წიაღიდან არიან გამოსული: ხალხის შინაგანი ძალისა და ნიჭის მატარებელი არსაკიძე და ამაღლებული სულის, კეთილშობილი, კაცთმოყვარე მინდია. მეტუილად კი არ დამკვიდრდა ეს ორი ოპერა ჩვენს სცენაზე.

თანამედროვე, საბჭოთა ოპერების ერთერთი ყველაზე დიდი ოსტატია ჩვენი დროის გენიალური ხელოვანი სერგეი პროკოფიევი. ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე ახლახან დაიდგა პროკოფიევის ერთერთი საუკეთესო ოპერა „სემიონ კოტკო".

მირა ფიჩხაძე

ეკიმის რჩევა

რაც ადრე გვაკლია...

როცა ბავშვს ძუძუ არ ჰყოფნის, დედა ნერვიულობს, ღელავს და რძე უფრო ეკარგება.

არა და, არსებობს სულ უბრალო საშუალებები, რომელთა დახმარებით ხშირად ქალი ახერხებს რძის შენარჩუნებას.

ამათგან უპირველესი (და ამავე დროს ზოგადიც და მთავარიც!) იმაში მდგომარეობს, რომ ორსულობის დაწყებისთანავე მტკიცედ დავიცვათ შრომის, დასვენებისა და კვების რეჟიმი და ყოველმხრივ ვეცადოთ დავზოგოთ ჩვენი ნერვული სისტემა: არ ვიღელვოთ წვრილმანებზე, ვეცადოთ მხნე და მხიარული ვიყოთ. დიახ, დიახ, ნუ გავიკვირვებთ: მშვიდსა და თავისი ცხოვრებით კმაყოფილ ქალებს რძე მეტი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც არ უფრთხილდება თავის ნერვებს და სულ უმნიშვნელო, წვრილმანი უსიამოვნების გამო წონასწორობიდან გამოდის.

ცნება „გონივრული რეჟიმი" ნიშნავს არა მარტო მშვიდ ცხოვრებას, საკმარის ძილს, სუფთა ჰაერზე სისტემატურ სეირნობას და გამამხნევებელ. ფიზკულტურულ ვარჯიშს, არამედ ხილითა და ბოსტნეულით მდიდარ, სრულფასოვან კვებასაც დღეში 3-4-ჯერ. ძალიან კარგია ყოველდღიურად ტანის დაბანვა წელამდე, თბილი წყლით. ეს პროცედურა ამშვიდებს ნერვებს, საუცხოოა ჰიგიენურობის თვალსაზრისით და შესანიშნავად მოქმედებს რძის გამოყოფაზე.

თავისთავად ცხადია, წინასწარ, როგორც წესი, უნდა დამუშავდეს სარძეო ჯირკვლები, უნდა გავიკეთოთ მასაჟი, მოვიბანოთ თბილი წყლით ძუძუს კერტები და შევიმშრალოთ უხეში, ხაოიანი პირსახოცით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის კვებას განსაზღვრულ საათებში და საჭირო შუალედების დაცვას (3-3,5 საათი).

ზოგჯერ რძის უკმარისობა უკვე ლოგინობის პირველ დღეებიდანვე იწყება და გამოწვეულია ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ უნდა დავიკრიფოთ გულხელი და მთელი იმედი ხელოვნურ კვებაზე არ უნდა დავამყაროთ. არა, ჩვენ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ დღეში ორჯერ, მორიგ კვებამდე 15-20 წუთით ადრე, ჩავიტაროთ ძუძუს მასაჟი. არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ ბავშვს ორივე ძუძუ ერთ კვებაზე; თუ ასე მოვიქეცით, ბავშვი მიეჩვევა ადვილად გამოსაწოვი პირველი ულუფის მიღებას და დანარჩენი რძის გამოსაწოვად შრომის გაწევა დაეზარება. კვების შემდეგ ძუძუში დარჩენილი რძე აუცილებლად ბოლომდე უნდა გამოვიწველოთ, რომ რძე არ გადახურდეს. თუ რაიმე მიზეზის გამო ერთი კვების გამოტოვება მოგვიხდა, ძუძუ, სულერთია, მაინც უნდა გამოვიწველოთ.

რძის მოსამატებლად დედებს ასეთ რჩევას აძლევენ: ვიდრე ბავშვს აჭმევდეს, ნახევარი საათით ადრე მიიღოს რაიმე ტკბილეული: ერთი კოვზი თაფლი, 10-15 გრ მარმელადი, ცოტაოდენი ხილი ან ხილ-ბოსტნეულის წვენი (ნახევარი ჭიქა).

მეძუძურ ქალს ვიტამინებით მდიდარი საკვები სჭირდება, განსაკუთრებით კი — ვიტამინი C. ამ ვიტამინს უდიდესი რაოდენობით შეიცავს ასკილი, შავი მოცხარი და ლიმონი. ამათი წვენი მეძუძურმა ქალმა დღეში უნდა მიიღოს 150-200 გრ რაოდენობით. სასურველია, რაც შეიძლება მეტი სტაფი-

ლოს, მწვანე სალათისა და ისპანახის მიღება: მათში შემავალი ვიტამინი A, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვს იცავს ინფექციისაგან. რძის გამოყოფას ხელს უწყობს ვიტამინი B_1 (მისი ნორმა მეძუძური ქალისათვის 3 მილიგრამია), ვიტამინი PP (2,5 მილიგრამი), ვიტამინი E. ამ ვიტამინს შეიცავს ქაშაყი, ნედლი ნიგოზი.

მეძუძური ქალის რაციონში უნდა შედიოდეს მინერალური მარილები, რითაც მდიდარია, მაგალითად, წიწიბურა (გრეჩიხა). სასარგებლოა სოკოს კერძებიც.

მეძუძურმა ქალმა სითხე უნდა მიიღოს 2-4 ჭიქით მეტი, ვიდრე ადრე იღებდა. მეტი სითხის დალევას არავითარი აზრი არა აქვს. სპირტიან სასმელებს კატეგორიულად უარი უნდა ვუთხრათ. მცდარია ის აზრიც, თითქოს ლუდი ხელს უწყობს რძის მომატებას.

ხშირად კარგ ეფექტს იძლევა ჰორმონალური პრეპარატები: გამმინი და პროლაქტინი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ექიმმა უნდა დაგვინიშნოს.

ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, თუ დედამ დაიცვა ჰიგიენისა და სხვა ზემოთჩამოთვლილი წესები, მას შეეძლება უზრუნველყოს თავისი პატარა ძუძუთი.

ი. ელიზაროვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა

ფიზიკური აღზრდის ყველა საშუალებებიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ყველაზე მიზანშეწონილია დილის ვარჯიშის ჩატარება. ვარჯიში ჩავატაროთ ჰაერზე ან ღია ფანჯარასთან. ვარჯიში დავიწყოთ და დავამთავროთ ადგილზე სიარულით.

ვარჯიშების შერჩევისას გამოვიყენოთ დიდაქტიკური პრინციპები, მარტივიდან გადავიდეთ რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე და სხვა.

ვარჯიშის შესრულებისას ბავშვები ხშირად თაკილობენ იმის თქმას, რომ დაიღალენ, ამიტომ ჩვენ დიდი დაკვირვება გვმართებს, რათა ბავშვის ორგანიზმი არ გადაიღალოს.

ვარჯიშები უნდა იყოს მარტივი და საინტერესო.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ცხვირით ღრმა სუნთქვას. ჩვენ რომ ბავშვს დავუწყოთ იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხვირით ღრმა სუნთქვას, ამას ის ვერ გაიგებს და ვერც დაიმახსოვრებს. ამიტომ უმჯობესია მივმართოთ ხატოვან გამოთქმებს, ასე მაგალითად, — „ვისაც პირი ღია ექნება, მას პირღიას დაუძახებენ!“ და სხვა.

ჩვენს მიერ რეკომენდებული ვარჯიშები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

ვარჯიშები უსაგნოდ და ვარჯიშები საგნებით.

უსაგნოდ ჩატარებულ ვარჯიშებს შორის ბავშვებისათვის ყველაზე საინტერესო და მისაწვდომია ე. წ. მიმბაძველობითი ვარჯიშები (რომლებსაც სახალისოც შეიძლება ეწოდოს) და საერთო განმავითარებელი ვარჯიშები.

საგნებით ვარჯიშებში გამოყენებული გვაქვს ვარჯიშები ალმებით, ბურთებით და სალტით. შეიძლება გამოვიყენოთ ტანვარჯიშული ჯოხები, სახტუნებლები, კიბე და სხვა.

მიმბაძველობითი ანუ სახალისო ვარჯიშები

ამ ვარჯიშებში ბავშვები ჰბაძავენ ნაცნობ ფრინველებსა და ცხოველებს, ასრულებენ სხვადასხვა შრომითი პროცესების დამახასიათებელ იმიტაციურ მოძრაობებსა და სხვა. აქ განსაკუთრებით კარგად მეღავნდება ბავშვის ფანტაზია. ამ ჯგუფის ვარჯიშებს ფიზიკური აღზრდის გარდა ესთეტიკური მნიშვნელობაც აქვთ.

I ვარჯიში: „წერო დადის ჭაობში“. — მუხლი ავწიოთ მაღლა და გავიტანოთ წინ. ასე ვიაროთ ხან ერთი, ხან მეორე ფეხის გადაბიჯებით. ფეხის ყოველ გადადგმაზე მკლავები განზე გავიტანოთ. გავიმეოროთ 3-4 ჯერ. გართულების მიზნით გადავაბიჯოთ იატაკზე დალაგებულ ნივთებს.

II ვარჯიში: „დიდი და პატარა“. — ვამბობთ: „ენძელა პატარაა, პატარაა“. — თან ბუქნას ვაკეთებთ, თან ხელებით ვაჩვენებთ პატარას. — „ალვის ხე დიდია, დიდია“... ვდგებით, ცერებზე ვიწევით, თან ხელებს მაღლა ვწევთ. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

III ვარჯიში: „დიდგულა მამალი“. — შევდგეთ სკამზე ან ტახტზე, თავი ამაყად ავწიოთ მაღლა და ხელების ტანზე დატყაპუნებით მამალივით დავიყივლოთ.

გავიმეოროთ 3-4-ჯერ.

გართულების მიზნით ტახტზე შევხტეთ და ჩამოვხტეთ.

IV ვარჯიში: „პური თონეში“. — ფეხები განზე, ხელებით ცომი მოვზილოთ, წელში მოხრით „პური“ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ჩავაკრათ.

გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

V ვარჯიში: „ჩაის კრეფა“.— ფეხები განზე გავდგათ, წელში ოდნავ მოვიხაროთ და ხელების მარჯვნიდან მარცხნივ გატანით მიგბაძოთ ჩაის მკრეფავებს. „მოკრეფილი ჩაი კალათში ჩავყაროთ.“ ვარჯიში შევასრულოთ ორივე მხარეს. „კალათში ჩაყრის“ დროს წელში გავიმართოთ.

გავიმეოროთ 3-4-ჯერ.

VI ვარჯიში: „ბაჭია ბოსტანში“.— მუშტები შუბლთან მივიტანოთ, საჩვენებელი თითები გავმართოთ. ვიხტუნაოთ სკუპ-სკუპით.

გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

VII ვარჯიში: „პეპლების ფრენა.“—მკლავები განზე გავიტანოთ და ზევით-ქვევით ქნევით ოთახში ვიაროთ.

გართულების მიზნით შევხტეთ სხვადასხვა საგნებზე.

გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

VIII ვარჯიში: „ზღარბი“. ვიაროთ ჩვეულებრივად, ძახილზე —„ზღარბი!“ ჩავბუქნოთ და ზურგზე გადავკოტრიალდეთ.

გავიმეოროთ 3-4-ჯერ.

ანალოგიური ვარჯიშების შერჩევა ყველას შეუძლია. ასე, მაგალითად, შეგვიძლია გამოვიყენოთ: პინგვინების სიარული, შეშის ჭრა, ცხენის ჭენება, მატარებელი, მოკრივე, გაშალაშინება და სხვა მრავალი.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელი ცხოვრება

ლიმონის თეთრეულის მოვლა

ახალი ზეწრები, ბალიშისპირები და შალითები (ჩიხოლები) ხმარების წინ უნდა გაირეცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონი და კანი სხვადასხვა გამონაყოფით დასტოვებს მასზე ლაქებს, რომელიც აღარ მოსცილდება. თეთრეული რამდენიმე საათით თბილ საპნიან წყალში უნდა დალბეს. მისი გამოხარშვა არ არის საჭირო. ფერადი თეთრეული წინასწარ დაულბობლად უნდა გაირეცხოს ცივ წყალში, გარეცხვის შემდეგ კი იქამდე უნდა ვუცვალოთ წყალი, ვიდრე სუფთა წყალი არ გაუვა.

ყურადღებით ადევნეთ თვალყური თეთრეულს. ძალიან ნუ დასვრით, რომ რეცხვის დროს ბევრი სრესვა არ დასჭირდეს. გარეცხვა უმჯობესია საპნიან ხსნარში. შემდეგ თეთრეული კარგად უნდა გაავლოთ, თორემ მასზე შერჩენილი საპონი ჭამს ქსოვილს.

ხაოიანი პირსახოცები არ უნდა დაუთოვდეს, რადგან უთოსაგან ხაო იგლისება და უხეშდება.

უხმარი თეთრეული კარადაში დებისაგან იძეძება, ცვდება, ამიტომ დროგამოშვებით თეთრეული, რომელსაც არ ვხმარობთ, მაინც უნდა გაირეცხოს.

თეთრეულის გასაფენი თოკი რომ დიდხანს გვემსახუროს და ამავე დროს რბილიც იყოს, უნდა გამოვხარშოთ საპნიან წყალში.

ზამთარში თეთრეული თოკზე არ მიიყინება, თუ უკანასკნელი გავლებისას წყალში ჩავუმატებთ მარილს. თეთრეულის დაფენვისას რომ ხელები არ წაგვეყინოს, წინასწარ ძმრით უნდა დავისრისოთ.

ლიმონის რამდენიმე წვეთით შეიძლება

გაიწმინდოს დანის პირი (გადავუსვათ ლიმონი და უცბათ გავწმინდოთ);

ქსოვილს მოვაცილოთ ჟანგის ლაქა;

სუფრას მოვაცილოთ ჩაის ნაყენის ლაქა;

გავწმინდოთ მუქი ტყავის ხელჩანთა;

ამოვიყვანოთ მელნის ლაქა.

სულ ცოტა ძმარი

წყალში გარეული, ელასტიურობას ანიჭებს ტყავის ხელთათმანებს და ტრიკოტაჟის ნაწარმს;

აცილებს ხილის ლაქებს (ლაქიანი ადგილი დაასველეთ ძმრით და რამდენიმე ხნის შემდეგ მთლიანად გარეცხეთ);

კარგად წმინდავს პირსაბანის ბაკანს და აბაზანას.

თუ ორ სუფრის კოვზ ძმარს ჩავუმატებთ თმაზე გადასავლებ წყალს, თმა ბზინვას დაიწყებს;

ესეც მარილი

თუ რამდენიმე მარცვალ მსხვილ მარილს დავუმატებთ ყავას მოხარშვის წინ, ეს გააძლიერებს ყავის არომატს.

შუშის ჭიქები და ბოთლები გამჭვირვალეობას და ბროლივით ბრწყინვალეობას მიიღებს, თუ მათ მარილიან წყალში გავრეცხავთ და შემდეგ ცივ წყალში გავავლებთ.

თუ ტაფის ან ქვაბის ძირი მიგეწვათ, დააყარეთ ფსკერზე სქლად მარილის ფენა და დატოვეთ ასე რამდენიმე საათის განმავლობაში. ჭურჭლის ძირი გასუფთავდება.

სამზარეულოს ღუმელს ქონის ლაქები შეიძლება ასე მოაცილოთ: ცხელ ღუმელს დააყარეთ მარილი და გაუსვით გაზეთის ქაღალდი.

აბრეშუმისა და სატინის მუქი ფერის ტანსაცმელი დიდხანს შეინარჩუნებს ელვარეობას, თუ გარეცხვის შემდეგ გაავლებთ მარილიან ცივ წყალში (5 ლიტრ წყალზე 125 გრ მარილი). ასევე შეინარჩუნებს პეწს აბრეშუმის ჭრელი კაბები, ქვედატანები და ბლუზები.

თუ ტანსაცმელზე ქონის ლაქა მოგიხვდათ და მაშინვე ხელთ არა გაქვთ არავითარი ლაქის გამოსაყვანი საშუალება, ლაქას უნდა დააყაროთ მარილი და ფრთხილად გასრისოთ. მარილი რამდენიმეჯერ გამოცვალეთ, ვიდრე ლაქა არ გაქრება.

სველ შუშას ცეცხლი რომ ჩქარა მოეკიდოს, არაა საჭირო მაინცდამაინც ნავთის დასხმა, საკმარისია მოაყაროთ ცოტაოდენი ხოშხოშა მარილი.

ცოცხი გამაგრდება და ისე ჩქარა აღარ დატყდება, თუ ხმარების წინ 2–3 საათით დაასველებთ ცხელ მარილწყალში.

რედაქტორი **თეო აბაშმაძე**	სარედ. კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ნ. გურგენიძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ნ. ჯავახიშვილი.**	**საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VII 64 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 50.000. შეკვ. 1670 უე 04487, ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ИНДЕКС 76177

Б /197

ეროვნული
ბიბლიოთეკა